



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY”

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ 2 (38) 2016

ლია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of
The Open Diplomacy Association

Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1512-374X

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ხ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბალათური

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მუშუპე აბრამი (ბარმელია), ევგენი ბარათაშვილი, ბიორბი ბალათური, ოთარ ბალათური, რასა ბელოკაიტი, ანასტასია ბანიჩი, იური ბორიცკი, ვახტანგ ბურული, შოთა დოღონაძე, ელენე დრაკე, ჰარალდ ვერტცი, ბენადი იაშვილი, სერჟო კამიზი, რიჩარდ მაასი, მიხაილო მედვიდი, როინ მეტრეველი, იოჰიკა მიცუმი, ბაღრი ნაკაშიძე, ლიზავეტა შახანინა, ბუდი ნურანი რუჩანა, რამონ პიეტრო-სუარესი, ბერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ვიანესლან კიუნდოვიკი, ენდრიუ ლენუჟს ჰარდინგსი.



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: geoandependip@yahoo.com

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათური

ჟურნალი გამოდის ევარტალში ერთხელ, 4 ნომერი წელიწადში

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე:

<http://odageorgia.ge/?page=gamocemebi>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო

ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე ვ ი

თეორია

გიორგი ბაღათურია, ნათია ხუნაშვილი
პოლიტიკური რეალიზმი და საქართველო----- 5

Валерий Кузев
ТЕОДИЦЕЯ АДА В ФИЛОСОФИИ НОВОГО ВРЕМЕНИ:
Г.В. ЛЕЙБНИЦ----- 17

საჯარო მმართველობის პრაქტიკა

ლიზა ამილახვარი
საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი - პრობლემები
და პერსპექტივები----- 27

Любовь Хашиева
ОСНОВАНИЯ ПОСТМОДЕРНОЙ ИДЕНТИЧНОСТИ ИЛИ
ОСОБЕННОСТИ ГОСУДАРСТВЕННОГО СТРОИТЕЛЬСТВА В
УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ----- 39

Анатолий Ткач, Светлана Чеботарь
ВЫЗОВЫ И УГРОЗЫ РЕСПУБЛИКИ МОЛДОВА В КОНТЕКСТЕ
МИГРАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ ГЕРМАНИИ----- 46

ეკონომიკა

გვანცა ვასაძე
კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო-კერძო
სექტორის პარტნიორობა (თურქეთის ქმისი)----- 65

Александр Бондаренко, Валерий Василенко
ОЦЕНИВАНИЕ ВАРИАНТОВ ОБЕСПЕЧЕНИЯ ПРОДОВОЛЬСТВИЕМ
ВОИНСКИХ ЧАСТЕЙ В РЫНОЧНЫХ УСЛОВИЯХ----- 73

გენო მორჩილაძე
საბადასახადო კონტროლი----- 87

სამართალი

გიორგი სვიანაძე
მოსამართლეთა წარმომადგენლობა საქართველოს
სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში----- 99

Ирина Мезенцева
СООТВЕТСТВИЕ УГОЛОВНО-ПРАВОВОЙ ПОЛИТИКИ УКРАИНЫ
В СФЕРЕ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ КОРРУПЦИОННОЙ
ПРЕСТУПНОСТИ МЕЖДУНАРОДНЫМ СТАНДАРТАМ----- 106

სოფიო ქოქრაშვილი
საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები-- 118

სახელმწიფო და რელიგია

Олег Шепетяк
ИНДУССКО-ИСЛАМСКИЙ СИНТЕЗ ЭПОХИ ВЕЛИКИХ МОГОЛОВ
КАК РЕЛИГИОЗНО-ПОЛИТИЧЕСКОЕ ЯВЛЕНИЕ----- 126

Елена Маскевич
ХРИСТИАНСКАЯ СЕМЬЯ В УСЛОВИЯХ СОВРЕМЕННОСТИ:
ТРАДИЦИОННОСТЬ VS МОДЕРН----- 135

საზოგადოება

ლელი ბიბილაშვილი, ნინო სამხარაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კორკორაციული
სოციალური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართება----- 147

Валентина Нестеренко
ОПРЕДЕЛЕНИЕ ВЛИЯНИЯ МЕДИКО-СОЦИАЛЬНЫХ ФАКТОРОВ
НА ФОРМИРОВАНИЕ ЗДОРОВЬЯ АКАДЕМИЧЕСКИ СПОСОБНЫХ
ДЕТЕЙ СРЕДНЕГО ШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА----- 159

პრაქტიკა

მაია ამირგულაშვილი
რელიგიის ფაქტორი კავკასიურ კონფლიქტებში----- 171

Nikolay Orlov
DESIGN TECHNIQUE OF THE STATIONARY PROTECTED POINT OF
REGIONAL FORCES'S MANAGEMENT OF PUBLIC ORDER IN
UKRAINE ----- 178

თ ე ო რ ი ა

გიორგი ბაღათურია, ნათია ხუნაშვილი პოლიტიკური რეალიზმი და საქართველო

სტატია ეხება თანამედროვე პოლიტიკურ რეალობას საქართველოში, არსებულ პრობლემებსა და მათი რეალურად შეფასების საკითხებს. ამ მიზნით სტატიაში განხილულია ძირითადად ნიკოლო მაკიაველის რეალისტური ხედვები და პოლიტიკური რეალიზმის არსი როგორც ერთ-ერთი საწყისი შესაძლებლობა საქართველოში არსებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით. მასში გაანალიზებულია ძალის ფაქტორი, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფოები გამოდიან საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, როგორც სუვერენული და ძლევამოსილი სახელმწიფოები. სწორედ პოლიტიკურ რეალიზმზე დაყრდნობით შესაძლებელია სიტუაციის რეალური შეფასება და სათანადო სტრატეგიების დამუშავება სახელმწიფოს მართვის მიზნით.

საკანძო სიტყვები: პოლიტიკური რეალიზმი, ნიკოლო მაკიაველი, ძალაუფლება, სტრატეგია, სუვერენული სახელმწიფო

1. შესავალი

პოლიტიკური რეალიზმი რთული და კომპლექსური თეორიაა საერთაშორისო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა ჰანს მორგენტაუმ, რეალიზმს ფესვები საკმაოდ შორს აქვს გადგმული. რეალიზმის წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი პოლიტიკის ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და სოციოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: თუკიდიდე (Thucydides), ნიკოლო მაკიაველი (Niccollo Machiavelli), თომას ჰობსი (Thomas Hobbes), ედუარდ ქარი (Edward Carr), ჰანს მორგენტაუ (Hans Morgenthau) და სხვ. სწორედ მათი ნაშრომების შედეგად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური ხედვა.

თუკიდიდესეული რეალიზმის იდეა ისაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ანარქიულია, სახელმწიფოები იქცევიან ძალისმიერი პოლიტიკის პრინციპების თანახმად,

თვითგადარჩენა ყველასთვის უმთავრესი ფასეულობაა, ომი - კი ყოველთვის საბოლოო არბიტრი.[1,17-18] პოლიტიკური რეალიზმის საძირკველს ამყარებს ინგლისელი თომას ჰობსი. ჰობსისეული რეალიზმის თანახმად, ადამიანებისა და ხალხის ბუნებრივი მდგომარეობა ომისთვის მზადება და ომია. მისი ნაშრომის, „ლევიათანის“ (1651) საბოლოო სურათის მიხედვით, სწორედ ომია ის უკანასკნელი საშუალება, სახელმწიფოებმა შეუთანხმებელი პრობლემები რომ შეაჯერონ.

საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნება სწორედ ჰობსისეულ ომის მდგომარეობას ჰგავს, სადაც ყველა სახელმწიფო ერთმანეთის მტერია. საერთაშორისო ურთიერთობები ჰგავს კონფლიქტს სახელმწიფოებს შორის, სადაც სახელმწიფოს ინტერესები სხვა სახელმწიფოს ინტერესებს გამორიცხავს. თომას ჰობსისგან განსხვავებით, ედუარდ ქარი იდეალიზმს და რეალიზმს ხედავდა როგორც უტოპიას და რეალობას. უტოპიას ზნეობას უწოდებს, ხოლო რეალობას - ძალას.

მორგენტაუსთვის რეალიზმი არის დოქტრინა, რომელიც რეაგირებს ცვალებად პოლიტიკურ რეალობაზე. მისი მოსაზრებით, ადამიანებს ახასიათებთ ძალისადმი ლტოლვა, რასაც, საბოლოოდ, ისინი გარდაუვალ ბრძოლამდე მიჰყავს.[1, 20]

მორგენტაუმ ჩამოაყალიბა რეალიზმის ექვსი პრინციპი:

1. სახელმწიფო მოღვაწემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საგარეო პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეულ პირობებში და ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს სპონტანური, რომელიც რეალური ვითარების შესაბამისი იქნება;

2. საერთაშორისო პოლიტიკაში გზის გაგნების მთავარი საშუალება არის ეროვნული ინტერესების კონცეფცია, ეროვნული ინტერესები კი ძლიერების მიღწევაში მდგომარეობს;

3. ინტერესები გამოიხატება ძლიერებაში, ძალაუფლებაში. რეალიზმი მიიჩნევს, რომ სუვერენული სახელმწიფო და მისი ეროვნული ინტერესები ისტორიული პროცესის შედეგია;

4. პოლიტიკურ ქმედებებს ზნეობრივი განზომილება და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვთ, თუმცა ხშირად წინააღმდეგობა არსებობს ზნეობრივ მოთხოვნებებს შორის და შედეგიან პოლიტიკურ ქმედებას შორის, საერთაშორისო უნივერსალური პრინციპები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფოთა ქმედებებთან მიმართებაში;

5. არცერთი ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად;

6. პოლიტიკის სფერო არის ავტონომიური. აქ მომხდარი მოვლენების შეფასება უნდა მოხდეს არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა და წესების მიხედვით, არამედ პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით;

რეალისტები საერთაშორისო არენაზე მთავარ აქტორებად სახელმწიფოებს განიხილავენ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მხოლოდ თავიანთი უსაფრთხოებით, მოქმედებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად და იბრძვიან ძალაუფლებისთვის. რეალისტების ძალაზე აქცენტისა და თვითინტერესის უარყოფითი მხარე ხშირად მათი სკეპტიციზმია, რომელიც დაკავშირებულია ეთნიკური ნორმების, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების რელიგვანტურობასთან. რეალიზმი მოიცავს მთელ რიგ მიდგომებს და მოითხოვს ხანგრძლივ თეორიულ ტრადიციას. ოცდამეერთე საუკუნის კლასიკური რეალიზმი დღესდღეობით ფართოდ შეცვალა ნეორეალიზმმა, რომელიც არის მცდელობა გაცილებით საინტერესო მეცნიერული მიდგომის შესაქმნელად საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსთა მხრიდან, რომლებიც წარმოგვიდგენენ ლიბერალურ, კრიტიკულ და პოსტ-მოდერნისტულ პერსპექტივებს.

2. მეოცე საუკუნის კლასიკური რეალიზმი

მეოცე საუკუნის რეალიზმი აღმოცენდა იდეალისტური პერსპექტივის საპასუხოდ, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. 1920 -1930-იანი წლების იდეალისტების მიზანი იყო მშვიდობის დამყარება მეორე მსოფლიო კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად. მათ დაინახეს შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრის გზა საერთაშორისო სამართლის რესპექტაბელური სისტემის შექმნის მიზნით, რასაც მხარს უჭერდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ იდეალიზმის შედეგი იყო ერთა ლიგის დაარსება 1920 წელს. ამერიკის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა (Woodrow Wilson), მეცნიერებმა, როგორებიც არიან ნორმან ანგელი (Norman Angell), ალფრედ ციმერნი (Alfred Zimmern) და რეიმონდ ბ. ფოსდიკი (Reymond B. Fosdic) და ამ ეპოქის სხვა გამოჩენილმა ინტელექტუალმა იდეალისტებმა მხარი დაუჭირეს ერთა ლიგის (League of Nations) შექმნას. ერთა ლიგამ ვერ შეძლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების თავიდან აცილება.

თეორიული არგუმენტებისგან განსხვავებით ამ ფაქტმა იქონია ძლიერი რეალისტური რეაქცია. მიუხედავად ამისა, ხალხთა მისწრაფებამ თავიდან აცილებინათ მსგავსი კატასტროფა, საფუძველი ჩაუყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო – United Nations) შექმნას. რა თქმა უნდა გაერო იდეალისტური პოლიტიკური აზროვნების შედეგია, მაგრამ ომისშემდგომი წლების დასაწყისში, პრაქტიკულად, საერთაშორისო ურთიერთობებზე ზეგავლენას ახდენს „კლასიკური“ რეალისტების – ჯონ ჰ. ჰერცი (John H. Herz), ჰანს მორგენტაუ (Hans Morgenthau), ჯორჯ კენანი (George Kennan) ნაშრომები, უფრო გვიან, კი 1980-იან წლებში მან გზა გაუკვალა ახალ მიმდინარეობას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში - ნეორეალიზმს.[2]

3. პოლიტიკური რეალიზმის არსი

პოლიტიკური რეალიზმი არის კომპლექსური ცნება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლების გადმოსახედიდან აღწერს. საერთაშორისო ურთიერთობებში მოიაზრება როგორც კონფლიქტური, ისე ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკა. სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის მიმართ ძალისმიერი ქმედებების ჩადენა ზოგჯერ რეალისტურ ან ძალისმიერ პოლიტიკად მოიხსენიება. საერთაშორისო ურთიერთობები დანახულია, როგორც მკაცრი კონკურენცია ქვეყნებს შორის, რომლებსაც არანაირი მიზეზი არ აქვთ მიენდონ მაშინ, როდესაც მათი არსებობის არსი თვითგადარჩენაა ისეთ გარემოში, სადაც ერთის დანაკარგი მეორის მონაპოვარია. საქმე ისაა, რომ ასეთი სახის ანარქია იწვევს კონკურენციას და კონფლიქტს სახელმწიფოებს შორის და ახშობს მათში თანამშრომლობის სურვილს მაშინაც კი, როდესაც არსებობს საერთო ინტერესი.

არსებობს ის მოსაზრებაც, რომ თანამშრომლობა, რომელიც დაეუშვათ ორი სახელმწიფოსთვის მომგებიანია, ხდება არასასურველი, რადგან ეს მის პოტენციურ მტერს აძლიერებს. ამის კარგ მაგალითად გვევლინება ნიკოლო მაკიაველის ნაშრომი - „მთავარი“, სადაც ნათლად გადმოცემულია დიპლომატიური მიდგომები მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში - „ვინც ზნე-ჩვეულებებით განსხვავებულ ქვეყანაში ცხოვრობს, ნაკლებად ძლიერი მეზობლების თავკაცად და მფარველად უნდა იქცეს, ყოველნაირად ეცადოს უფრო ძლიერთა დასუსტებას და ფხიზლად ეჭიროს თვალი, რათა ქვეყანაში მასზე არანაკლებ ძლევა მოსილი მბრძანებელი

არ შემოიჭრას“.[3,8] მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას რამოდენიმე ქვეყანა ჩაერთო ომში. რამოდენიმე სუვერენული სახელმწიფო დაუპირისპირდა ერთმანეთს - გერმანია, იტალია და იაპონია, რომლებიც აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ, დაუპირისპირდნენ საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და ჩინეთს. უფრო მოგვიანებით კი ამ ომში საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატებიც ჩაებნენ. ქვეყნების მხრიდან ერთმანეთის დახმარება არსებობს, თუმცა სხვა საკითხია რამდენად უანგაროა ეს დახმარება. რამდენად მომგებიანი იყო მათთვის ამ ომში ჩაბმა და რას დაანახებდა სამყაროს რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების მოპოვება.

სუვერენული სახელმწიფოები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან სიდიდით, განვითარების დონით, პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერებით და შესაძლებლობებით, რაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემის უკიდურესი სირთულის ერთ-ერთი მიზეზია გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული მიზნები და ინტერესები ხშირად კონფლიქტურ ხასიათს იღებს და ომების გამომწვევიცაა. ამიტომ, ამგვარ პირობებში წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოთა ძალის ძლიერების საკითხი. აუცილებელია დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ავტორიტეტი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილება, რათა დამყარდეს წესრიგი და შენარჩუნებულ იქნას სტაბილურობა.[3]

მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან დღემდე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში რეალური სკოლა ბატონობს და საერთაშორისო სინამდვილე პოლიტიკური რეალიზმის გაბატონების განმსაზღვრელი ფაქტორია. რეალისტები თვლიან, რომ ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც თავიანთი ძალაუფლების წყალობით შეუძლიათ, ხოლო სუსტები იძულებით იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებაც არ ძალუძთ. [5]

მაკიაველის მიხედვით მმართველი უსაფრთხოდ შეინარჩუნებს სახელმწიფოს და ხალხიც მორჩილებაში ეყოლება მხოლოდ ძალაუფლების სათანადო გამოყენებით. რეალისტები ყოველთვის არ ემხრობიან სამხედრო ძალის გამოყენების იდეას, თუმცა მათი აზრით საჭიროების შემთხვევაში ძალისმიერი ქმედებების განხორციელება აუცილებელია. იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია და უფრო მეტიც, მათ მიაჩნიათ, რომსხვა ელემენტები, როგორიცაა

ეკონომიკური სიმძლავრე, დიპლომატიური ნიჭი თუ მორალური კანონები, მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი გამოყენება შეიძლება სამხედრო მიზნით. მორალურ პრინციპებსაც თავისი წვლილი შეაქვს ძალაუფლებაში, რადგან მათი დახმარებით შესაძლებელია სახელმწიფომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ძალაუფლება და შემოიკრიბოს მოკავშირე სახელმწიფოები.

მაკიაველიც პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართებაზე შემდეგი სახის შეხედულებას გვათავაზობს: „უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: „ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე - ბრძოლა ძალის გამოყენებით“.[3]

იგი გამოყოფს ბრძენ მთავრებს, რომლებიც არა მარტო აწინდელ, არამედ მომავალ გართულებებსაც უნდა ითვალისწინებდნენ, ისინი უნდა იყვნენ როგორც ღომები, ისე მელიები.

მაკიაველის აზრით, პოლიტიკა ვერ დაეყრდნობა მორალურ პრინციპებს, იგი უნდა ხელმძღვანელობდეს მიზანშეწონილობის პრინციპებით და შეესაბამებოდეს გამოცდილებას, პრაქტიკას, კონკრეტულ სიტუაციას. ამიტომ მიზანი უნდა შეესაბამებოდეს საშუალებებს, ხოლო საშუალებები - გარემოებებს და შედეგებს. სწორედ ასეთი „ფარდობითობის“ პრინციპი წყვეტს მიზნებისა და საშუალებების თანაფარდობას პოლიტიკაში. მმართველისთვის აუცილებელია ძლიერი ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში სუსტ საფუძველზე აშენებული სახელმწიფო მალე დაინგრევა.[4]

4. მაკიაველი „საქართველოს შესახებ“

მაკიაველის შრომებში კარგად იგრძნობა ეპოქის ხასიათი. რესპუბლიკურ მმართველობაზე მაკიაველი მსჯელობს „კომენტარებში ტიტუს ლივიუსის პირველ დეკადაზე“ და „ფლორენციაზე“. ამ უკანასკნელში იტალიური რესპუბლიკებიდან მაკიაველი განიხილავს ვენეციის და განსაკუთრებით ფლორენციის მოწყობას და მმართველობას. მაკიაველი ცდილობს წარმოსახვით-სასურველი პოლიტიკიდან კვლევა რეალურ პოლიტიკური სინამდვილისაკენ შემოაბრუნოს. რეალური პოლიტიკა კი იმის ირგვლივ ტრიალებს, რასაც ადამიანი უმეტეს შემთხვევაში აკეთებს და არა იმის ირგვლივ, რასაც უნდა აკეთებდეს.[5]

კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, იმის გარკვევის მცდელობა იყო თუ როგორი რეჟიმია ყველაზე

სამართლიანი. ავტორები ეძებდნენ ერთადერთ სწორ რეჟიმს, რომელშიც გაშლილი იქნებოდა ერთადერთი სწორი ცხოვრების წესი.

მეტად საგულისხმოა მაკიაველის მოსაზრებები სახელმწიფოების შესახებ, რომელიც ძალიან შეესაბამება საქართველოს ვარიანტს:

- ხალხს, რომელიც მიეჩვია ხელმწიფის ძალაუფლებას და შემთხვევით გახდა თავისუფალი, უჭირს თავისუფლების შენარჩუნება

- გარყვნილ ხალხს, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა, ძლიერ უჭირს თავისუფლების შენარჩუნება.[4, 174]

ხელისუფლება ვერ გაბედავს საზოგადოების წინააღმდეგ წასვლას, თუ მასში საპროტესტო მუხტი დაინახა. მაგრამ, ქართველებს პროტესტი მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს უჩნდებათ მაშინ, როდესაც უკვე ძალიან ბევრი შანსია ხელიდან გაშვებული, პროცესებს კი შეუქცევადი ხასიათი აქვს მიღებული. რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირება ამის კლასიკური მაგალითია. საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანას ურთულესი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს - იგი უშუალოდ ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, რომელიც თითქმის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ექსპანსიაზეა ორიენტირებული და მკვეთრად გამოსატყულო იმპერიალისტური ამბიციები აქვს. ამიტომ, ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკურ არენაზე სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საკმარისია ყურადღების მოდუნება, ანდა ამ ფაქტის უგულვებლყოფა, რომ ქვეყანა უდიდეს განსაცდელში ვარდება, რაც მრავალგზის დამტკიცდა საქართველო უახლეს ისტორიაში, ასე იყო 1921 წელს, ასე მოხდა 1992-2008 წლებში. ეჭვს გარეშეა რომ საქართველომ დიდი დამოუკიდებლობის მოპოვებისა მრავალი საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც უგულვებლყოფილ იქნა რუსეთის ფაქტორი ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთი დიდი სახელმწიფოა, რომელსაც თავის ინტერესები და მიზნები აქვს. საქართველო კი მცირეა და სუსტი. ხოლო ქვეყანა, რომელიც მცირე ზომისაა და სუსტია, ხდება სხვა სახელმწიფოს მსხვერპლი, თუ მისი პოლიტიკა არ ითავალისწინებს არსებულ პოლიტიკურ რეალობას.

2008 წლის 8-12 აგვისტოს მოვლენებიც სწორედ იმ ფაქტზე მიაბანიშნებს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არ და ვერ

გაითვალისწინა რეალ-პოლიტიკის ის გაკვეთილები, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული მომენტისათვის.

ზოგჯერ, ქართული საზოგადოების მხრიდანაც საჭიროა გეოპოლიტიკური სიტუაციის კარგად გააზრება და სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბება, რათა შემცირდეს იმის საფრთხე, რომ ხელისუფლება მომავალშიც არ წამოეგოს რაიმე სახის პროვოკაციას მოწინააღმდეგის მხრიდან.

5. თანამედროვე პოლიტიკური რეალობა საქართველოში

მართალია დღევანდელ რეალობაში საქართველო აღარ დგას ისეთი რთული პრობლემების წინაშე, როგორც წინაშეც იდგა ჯერ კიდევ სპარსეთისა და ოსმალეთის მხრიდან დაპირისპირებების დროს, თუმცადა, რუსეთი კვლავაც ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ნებისმიერ მომენტში შესაძლოა კვლავ დაუპირისპირდეს ჩვენს ქვეყანას.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა საქართველოს უფრო მეტი ჩართულობა საგარეო ორგანიზაციებში, უფრო დროული და გადამწყვეტი ძალისხმევით განხორციელება კრიზისული სიტუაციის დაწყებით სტადიაზე გაკონტროლების მიზნით. ასეთ სიტუაციებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების და, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს, რეგიონული და რეგიონის საზღვრებს გარეთ მყოფი მნიშვნელოვანი და სერიოზული მოთამაშეების (აშშ, ევროკავშირი, ნატო) უფრო მეტად აქტიური ჩაბმა.

1993 წლიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ისეთ ავტორიტეტულ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, როგორიც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი გახლავთ, რამოდენიმე წლის შემდეგ კი საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარი შეაღო. მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობით საქართველომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება დაიწყო, გატარდა რეფორმა, ქვეყანამ მიიღო ასეული მილიონობით შეღავათიანი კრედიტი, რომელიც ქვეყანას მნიშვნელოვნად დაეხმარა იმ თვალსაზრისით, რომ იგი კარგი პირობებით იქნა გაცემული და დადებითად იმოქმედა ფინანსური ბაზრების სტაბილიზაციის, უცხოური სავალუტო რეზერვების შენარჩუნებისა და აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად საგარეო ფინანსური დახმარების მოზიდვის მიმართულებით.

საქართველო რეგიონალური პროექტის ფარგლებში ჩართულია ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, როგორცაა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა. ამრიგად, ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების სრულად უზრუნველყოფა, ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი. უადრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი - გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ. ქვეყნის განვითარებისა და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, ქვეყნის ტერიტორიის დეოკუპაციის და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით.

თანამედროვე ეტაპზე შეიმჩნევა მცირეოდენი ძვრები ევროკავშირისა და ნატოსთან, კერძოდ ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას და დაიწყო ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი. საქართველოს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს აქვს უფლება გახედოს ნატოს და ევროკავშირის წევრი. თუმცა ეს ყველაფერი არ კმარა იმისთვის, რომ ქვეყანა იყოს სუვერენული და ძლევამოსილი.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის გაფართოებისათვის. თუ ადრე ექსპორტი მხოლოდ რუსეთთან იყო შესაძლებელი, ახლა ამ ქვეყნის ბაზარი ქართული პროდუქციისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუსულ-ქართული ურთიერთობების კლიმატი, რაც დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, მაგრამ მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, ჯერ კიდევ დიდი საფრთხის ქვეშ არის საქართველოს ოკუპირებული რეგიონები. ამ საფრთხის პედალირებით რუსეთი ეცდება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის და უსაფრთხოების მდგომარეობის მანიპულირებას. ასე რომ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში დღეისათვის ყველაზე კრიზისული ეტაპია.

არსებობს კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, რომ დასავლეთი არავითარ შემთხვევაში არ გაიფუჭებს ურთიერთობას ისეთ ძლიერ და დიდ სახელმწიფოსთან, როგორც რუსეთია, ეს მათ ინტერესებში არ შედის. ამიტომ, აქ სხვა მიდგომები და სტრატეგიები საჭირო. საქმე ისაა, რომ უნდა მოხდეს სწორი შეფასება სიტუაციიდან და საქართველოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეთ რომელი იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრაცია.

დასკვნა

როგორც დავინახეთ, მაკიაველი მოუწოდებს მთავრებს იმოქმედონ ყოველგვარი ზნეობის ნორმების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. ცხადია, პოლიტიკური რეალიზმის კანონები მაკიაველიმ კი არ შექმნა, არამედ მან აღმოაჩინა და ახსნა ისინი. მაშინაც, და ნაწილობრივ, დღესაც რეალური პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა და მიმდინარეობს პოლიტიკური რეალიზმის კანონების თანახმად.

ამრიგად, რეალიზმისთვის მთავარი მოქმედი პირია სახელმწიფო, ამ სახელმწიფოს ძალაუფლება და მისი ეროვნული ინტერესები. საერთაშორისო პოლიტიკა ხასიათდება სწრაფვით ძალაუფლებისკენ. მაშინ როცა სუფევს ანარქია, საჭირო ხდება სახელმწიფომ თავად უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება ე.წ. თვით-დახმარების პრინციპის გამოყენებით - გააძლიეროს და გაზარდოს სამხედრო შეიარაღება და მათი ქმედითუნარიანობა.

საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, საჭიროა მათი სიღრმისეული ანალიზი, ამ პრობლემების მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრა. ობიექტური ანალიზის შემთხვევაში, შესაძლოა მოიძებნოს მდგომარეობის გამოსწორების ოპტიმალური სტრატეგია. რეალიზმის იდეაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს მოვლენების რეალური აღქმა, იყოს ნეიტრალური, ობიექტური და რაციონალური. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკურ კულტურაზეც, რომელიც პირველად ჩამოყალიბდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ. გამოყენებულ უნდა იქნას ყველა ძალისხმევა იმისათვის, რომ

ახალი დატვირთვით იქნას გაცნობიერებული საქართველოს რეალ-პოლიტიკის სტრატეგიის მნიშვნელობა მთლიანად ევროპის უსაფრთხოებისა მიზნებისთვის. სხვა საკითხის, არის კი საქართველო იმდენად დამოუკიდებელი, რომ რეალ-პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე შესაბამისი სტრატეგიის განხორციელება შეძლოს? ჩვენი აზრით ეს შესაძლებელია თუ შესაბამისი სტრატეგია არ იქნება ზედაპირული და იოლად გასაშიფრი ჩვენი მტერ-მოყვარე სახელმწიფოების მხრიდან. მაგრამ, ეს საკითხი უკვე სხვა კვლევის თემატიკაა.

ლიტერატურა

References:

1. akobia e., saerTaSoriso urTierTobebis Teoria, (Tbilisi: socialur mecnierebaTa centri, 2006),
2. Political Realism in International Relations - First published Mon Jul 26, 2010, substantive revision Tue Apr 2, 2013 - aRebulia vebgverdidan: <http://stanford.library.usyd.edu.au/entries/realism-intl-relations/>
3. makiaveli n. mTavari. baCana bregvaZis Targmani italiuridan, winasityvaoba, komentarebi. 1984
4. baRaTuria g., baRaTuria o. strategiuli dagegmva saxelmwifo marTvisa da bizensis amocanebSi - Tbilisi 2009 w.
5. biWaSvili m., politikuri Teoria CSS - socialur mecnierebaTa centri, Tbilisi 2006.

Giorgi Bagaturia, Natia Khunashvili POLITICAL REALISM AND GEORGIA

Summary

The article deals with modern political reality in Georgia, existed problems and issues for their real estimation. For this aim the article reviews Nicollo Machiavelli's realistic visions and the essence of political realism for elaboration of the realistic vision of the essence of political problems of Georgia. This approach should be as one of the opportunities in order to solve foreign and domestic political problems of Georgia. Power factor is analyzed in it using which States come out into international political arena as sovereign and powerful states. Only on the basis of Political Realism is possible to estimate political situation objectively and development of the relevant strategies for state policy.

Keywords: Political Realism, Nicollo Machiavelli, Power, Sovereign state,

Reviewer: professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

Георгий Багатурия, Натия Хунашвили
ПОЛИТИЧЕСКИЙ РЕАЛИЗМ И ГРУЗИЯ

Резюме

В статье рассматривается современная политическая реальность в Грузии, возможности реальной оценки политических проблем. В связи с этим в статье обсуждаются вопросы политического реализма Макиавелли с целью разработки реалистичного видения сути политических проблем Грузии, что должно явиться одной из возможностей реализации внутренней и внешней политики Грузии. В статье анализируется фактор государственной мощи, с помощью которого страна может реализовывать свои суверенные полномочия на международной политической арене. Только на основе политического реализма становится возможной объективная оценка политической ситуации и определение соответствующих стратегий для ведения государственных дел.

Ключевые слова: Политический реализм, Николо Макиавели, Мощь государства, Стратегия, Суверенное государство.

Рецензент: Профессор Отар Кочорадзе, Грузинский технический университет

Валерий Кузев
ТЕОДИЦЕЯ АДА В ФИЛОСОФИИ НОВОГО ВРЕМЕНИ:
Г.В. ЛЕЙБНИЦ

В статье обозревается тематика проблемы ада в творчестве великого немецкого философа Готфрида В. Лейбница. Исследуются доводы мыслителя в поддержку тезиса о вечном наказании. Проводится компаративный анализ традиционной модели ада и предлагаемой Лейбницем альтернативы. Автор выявляет роль и место проблемы ада в общей системе теодицеи Лейбница. Особое внимание уделяется концепции лучшего из возможных миров в ее соотношении с различными интерпретациями идеи ада.

Ключевые слова: идея ада, теодицея, Бог, зло, лучший из возможных миров.

Вследствие длительного господства религиозно-церковных институтов в идеологической жизни общества, традиционное учение об аде течение многих веков оставалось практически неизменным в христианском мире. Период XVII-XVIII вв. ознаменовался существенными трансформациями в восприятии и толковании идеи ада.

В контексте нашего исследования обращение к эпохе раннего модерна объясняется не только необходимостью экспликации идеи ада в ее динамике, но и тем соображением, что в данный период выходят на первый план те основные составляющие инфернологического дискурса и модусы их интерпретации, которые будут определять отображение образа ада в современную эпоху. Значительная доля аргументов и концепций, используемых в настоящее время в философских и богословских рефлексиях в отношении проблемы ада, возникают и оформляются в дискуссиях и размышлениях авторов XVII-XVIII вв.

Начиная с XVII ст., которое, по мнению Д. Уокера, стало отправной точкой упадка идеи ада [9], установившееся эсхатологическое учение все больше становится предметом теодицеи (Д. Локк, Г.В. Лейбниц, П. Бейль). Поднимаются вопросы, каким образом могут сосуществовать небеса в ад? Как можно говорить о счастье рая, если остальная часть человечества страдает в аду? Какова участь умерших некрещеных младенцев и тех, кто никогда не слышал Евангелия? Может ли вера, основанная на страхе наказания иметь подлинное нравственное значение? К примеру, такие философы, как С.

Кларк и Э. Шефтсбери, которые подчеркивали значение бескорыстной добродетели в этической сфере (морально благой акт должен практиковаться ради самого себя), ставили под вопрос ценность понятия ада как сдерживающего фактора. Традиционная христианская система, которая основывалась на принципе будущих вознаграждений и наказаний, сводит на нет моральное значение поступка [2, 159], [8, 805].

Рассмотрим более подробно роль и место идеи ада в системе теодицеи Г.В. Лейбница. Одним из важных признаков, указывающих на заметные тенденции к переосмыслению традиционной модели ада¹ в христианских кругах, стала реинтерпретация тезиса о вечности наказания. Немецкий философ и богослов Эрнст Зонер (1572-1612) в своей работе² атаковал одну из твердых традиционной концепции – бесконечность ретрибутивного возмездия. Главный аргумент книги Зонера заключался в том, что Бог не был бы справедливым, если бы он накладывал бесконечное наказание за конечный грех, и поскольку Бог справедлив, он не назначит вечное наказание. Лейбниц отреагировал на работу Зонера в «Теодицеи», предложив объяснение бесконечности наказания от продолжающихся грехов, тем самым поддержав вечность ада [11, 312]. Вместе с тем, отдельные суждения философа касательно данного предмета свидетельствуют, что позиция его не совпадает с ортодоксальной доктриной.

Важно подчеркнуть, что Лейбниц не считает справедливым наложение бесконечной кары за конечную вину (хотя именно такое соотношение между тем и другим предполагается в традиционной модели) и обращается к другой аргументации, которая базируется больше на рациональных предпосылках, чем на откровении. Как признает сам мыслитель, его гипотеза противоречит традиционному христианскому учению, согласно которому в будущей жизни нет ни заслуг, ни провинностей [Там же, 312]. Кроме того, из аргументов

¹ Традиционная концепция ада содержит следующие положения: (Н1) некоторая группа людей обрекается Богом на пребывание в аду; (Н2) ад – это место, где люди продолжают существовать и чувствовать боль; (Н3) не существует никакой возможности выйти из ада или изменить свое положение, раскаяние и спасение в аду невозможно; (Н4) ад признается местом, где осуществляется наказание [3, 25].

² “Demonstratio Theologica et Philosophica, quod aeterna impiorum supplicia non arguant Dei justitiam, sed injustitiam” [Теологическая и философская демонстрация, что вечное наказание нечестивых не доказывает справедливость Бога, но Его несправедливость] (1603)

Лейбница вытекает, что тезис о невозможности выхода из ада есть только контингентно истинным. Ад, в сущности, не является закрытым снаружи; для жителей его не существует такого момента, когда они были бы приговорены к вечному наказанию. Нечестивые могли бы освободиться, однако этого никогда не случится по причине их упорства во зле. Как видим, философ довольно близок к тем интерпретациям ада, в которых невозможность освобождения объясняется (полностью или частично) собственным выбором проклятых, ведь основной причиной их осуждения является добровольная нераскаянность. Кажется, что по крайней мере некоторые из проклятых могут реализовать возможность выйти из ада либо через покаяние, либо в тот момент, когда закончится период назначенного им наказания. Однако мыслитель отказывается принять этот взгляд. В ранней работе «Исповедь философа» (1673) Лейбниц объясняет вечное проклятие Иуды тем, что тот умер в состоянии «испепеляющей ненависти к Богу». Грех Иуды, каким бы большим он ни был, не заслуживает вечного возмездия. Однако, продолжает Лейбниц, поскольку душа человека после смерти расстается с телом, она оказывается закрытой для новых внешних перцепций с момента смерти и до тех пор, пока вновь не соединится с телом. Соответственно, такая душа будет зафиксирована в созерцании тех же мыслей в течение всего загробного существования. Отсюда «тот, кто умирает, ненавидя Бога, проклинает себя» [4], [6, 313]. Этот ход мысли напоминает аргументацию Фомы Аквинского касательно этого же вопроса (SCG, IV.95). Разница заключается в том, что Лейбниц делает акцент не на грехах совершенных при жизни, которые согласно традиционной модели требуют бесконечного наказания, но на продолжающемся состоянии греховности.

Лейбниц, как мы уже выяснили, признает простой ретрибутивизм в смысле *lex talionis*, однако центральный аргумент его основывается на иных соображениях. Лица, которые при жизни проявляли склонность к грехам и умерли в состоянии ненависти к Богу, остаются в том состоянии волевой и ментальной интенции, которое они имели непосредственно до смерти. Смерть не освобождает их от негативных эмоций, потому что души продолжают быть психологически активными и после отделения от тел. Не имея тела, которое делает возможным поступление новых ощущений, что позволило бы думать о других вещах, они фокусируют свои мысли на объектах, вызвавших состояние неудовлетворенности. Это увеличивает в них гнев и разочарование, что в свою очередь приводит к возрастанию названных чувств. Находясь на заданной траектории, психоментальный поток

уже не способен к обратному восходящему движению и в конечном итоге такие души теряют разум. Это безумие не исчезает с возвращением тела, поскольку к этому моменту души уже настолько искажены, что находят даже какое-то противоестественное удовлетворение в своем ничтожном состоянии.

Таким образом, согласно Лейбницу, безумие, в котором оказываются проклятые после смерти, гарантирует, что они никогда не смогут покаяться, хотя номинально они сохраняют свободу воли. Злые продолжают грешить и делают себя достойными наказания. В отличие от большинства тогдашних сторонников традиционной модели, Лейбниц исключает прямое вмешательство Бога в ретрибутивный процесс. По существу, грешники наказывают себя сами – философ называет это «естественным возмездием». Согласно природным законам, нечестивый теряет рациональную способность и сохраняет свое состояние нераскаянности; состояние же нераскаянности и новые грехи с необходимостью требуют новых наказаний. Это возмездие, однако, не вызывается внешними факторами – кроме собственно психологических страданий Лейбниц не упоминает о каких-либо дополнительных муках, вроде пыток материальным огнем, как было принято считать в его эпоху [6, 314-315], [4].

Изложенная система Лейбница весьма напоминает рефлексии некоторых современных теологов и философов религии (Р. Суинбёрн, Дж. Кванвиг) насчет проблемы ада – в отношении проклятых постулируется своего рода психологический детерминизм.³ Так же как и схемы названных мыслителей, построенные на аналогичных посылах, модель Лейбница содержит определенные проблематичные моменты. В частности, одним из элементов теодицеи ада является вынесение Бога из сферы ретрибутивного процесса, хотя Бог как всемогущее существо и пантократор очевидно должен считаться ответственным и за установление тех «естественных законов», что конституируют бесконечное наказание. Далее, в концепции Лейбница грешники получают наказание в т.ч. за поступки, совершенные в состоянии «безумия», что кажется несправедливым, поскольку безумцы, похоже, не имеют свободы воли.⁴ Ведь если недолжный

³ В англоязычной литературе более употребим общий термин *character setting view*. Ср. также теоретизирование Ричарда Суинбёрна о «потери души» [7, 37-54].

⁴ Британский исследователь Л. Стрикленд предполагает, что Лейбниц здесь имеет в виду не безумие в его привычном понимании, но

поступок совершается существом, лишенным, пусть даже в результате собственных его действий, способности рассуждать и отличать одну вещь от другой, наказание в этом случае представляется нарушением справедливости.

Теперь исследуем, каким образом тезис о вечном наказании для некоторых людей коррелирует с общей системой теодицеи Лейбница. Оправдание временного зла земной жизни не представляет особой проблемы для мыслителя. Так, в отношении того обстоятельства, что добро и зло физическое часто распределены несоответственно добру и злу моральному (то есть праведники бывают несчастны, а злые – наоборот, наслаждаются благами), философ объясняет данное явление в эсхатологическом контексте, ссылаясь на будущее загробное воздаяние. В конечном итоге все печали будут вознаграждены и послужат к увеличению блаженства. Вот почему подобное зло не только полезно, но и необходимо. Отсюда «невинные и не пожелали бы не претерпевать страдания» [11, 472-473; 477]. Сложнее было согласовать положение о вечном наказании с центральным тезисом просветительского оптимизма, что наш мир – лучший из возможных. Концепция совершенного мира у Лейбница сложна и неоднозначна. Схематически ее можно представить следующим образом. В уме Бога содержится бесконечное множество логически возможных миров. Мир возможен, если он не противоречит законам логики. Оптимальный мир, избираемый Богом для актуализации, предполагает такой ряд вещей, который в сумме содержит максимальное количество сущности. Совершенство совпадает со степенью сущности. Благодать Бога, таким образом, требует создания мира, состоящего из максимального количества существ и явлений с необходимостью более или менее несовершенных. По мнению У. Кинга и его многочисленных последователей – С. Дженинса, А. Поупа и др. – космос, в котором бытие получили бы только наименее несовершенные существа (и в каком, вероятно, отсутствует зло вечных мук ада) возможен, но он не был бы оптимальным. Потому как высшим благом усматривается актуальное существование каждого возможного типа вещей, совершенный мир должен вмещать каждое логически непротиворечивое несовершенство [10, 222]. Лейбниц вполне разделяет этот взгляд: «Но могут спросить: почему же Бог предпочел не воздерживаться от создания вещей, а решил создать их несовершенными? Автор [Кинг] очень хорошо отвечает, что причиной

определенное состояние неистовства, которое во многом подобно безумию, однако предусматривает сохранение свободы воли [6, 314].

этого было богатство Божией благодати. Бог пожелал сообщить ее творениям даже в ущерб некоторой чувствительности, которую мы мыслим в Боге, думая, что несовершенства ему неприятны. Таким образом, он предпочел, чтобы существовало несовершенство, нежели чтобы не было ничего» [11, 434]. Эти несовершенства, вероятно, включают и зло вечного ада, и без ада мир был бы в целом менее гармоничен и полон, чем он есть. Так, Лейбниц признает, что для осужденного на вечное наказание лучше было бы не существовать, но «лучше для самой Вселенной, чтобы порядок вещей оставаться таким, какой он есть» [1, 211].

Итак, само наличие ада вовсе не нарушает вселенскую гармонию и благодать. Проблемный момент заключался в том, что согласно традиционной христианской доктрине, ад должен был стать конечным пристанищем большинства людей – такое убеждение превалировало в западной религиозной мысли даже в XVII в. Лейбниц сам утверждает, что он придерживается устоявшегося мнения, согласно которому число осужденных будет несравненно большим, нежели число спасенных. Это ставило задачу богооправдания под угрозой, ведь критерием успешной теодицеи была демонстрация положения, что общая сумма благ в мире превышает общую сумму зла. Лейбниц предлагает два ответа на эту проблему. Первый из них сохраняет традиционный тезис о количественном преобладании проклятых над жителями рая. Вместе с тем, пишет Лейбниц, степень совершенства блаженных будет большей, чем степень деградации проклятых. Таким образом, преимущество совокупного добра в меньшей части людского рода пересиливает все зло в большей его части. Блаженные уподобляются к Богу и поскольку он бесконечен, этот процесс простирается в бесконечность; тогда как проклятые ограничены в своем тяготении к злу, ведь дьявол, которому они подражают, является конечным, ограниченным существом [11, 404].

Возможно, что сам Лейбниц не совершенно удовлетворился этим ответом – ведь большинство рациональных созданий будут навечно прокляты. Он пытается выйти из этого противоречия, пополняя количество блаженных за счет гипотетических жителей других миров. Вероятно, есть и другие миры, населенные только блаженными созданиями. Учитывая огромные размеры Вселенной и множество миров, разумные жители которых избегут осуждения, проблема вечного страдания человеческого рода превращается почти в ничто [Там же, 142-143]. К этому присоединяется надежда, что на самом деле число осужденных людей окажется меньшим, чем то представлялось ортодоксальным теологам. Из понятия божественной справедливости

следует, что вечное проклятие не коснется людей искренне любящих Бога и действующих по его законам. К таковым Лейбниц относит не только преданных христиан, но и добропорядочных язычников, а также умерших некрещеных детей. Философ высказывал эту мысль преимущественно в частном порядке. Так, в письме от 1690 г. к Эрнсту Гессен-Рейнфельскому Лейбниц утверждает, что не все нехристиане погибнут: «Я не могу поверить, что все те, кто не знал Иисуса Христа проповеданного в Евангелии, погибнут навсегда, безотносительно к тому как они жили. Невозможно представить, что это было бы справедливо». В письме к другому адресату философ высказывается даже более категорично: «Человек может спастись во всех религиях, при условии, что он действительно любит Бога превыше всего» (цит. по: [6, 319]). Возможно, полагает мыслитель, Бог наделяет таких людей необходимой для спасения благодатью в момент смерти.

Некоторые современные исследователи – Эндрю Карлсон, Кэтрин Уилсон, Эллисон Коудерт (Coudert) – полагают, что Лейбниц на самом деле вообще отвергал концепцию вечного ада и склонялся к универсализму (доктрине общего спасения). Действительно, универсалистские взгляды постепенно завоевывали новых сторонников в послереформационной Европе. Существует немало доводов как за, так и против этой гипотезы. Нам представляется, что универсализм плохо соотносится с понятием лучшего из миров в том смысле, как его понимал сам автор, то есть прежде всего такого мира, где явлен максимум сущности и где наличествуют все возможные элементы онтологической лестницы.

Универсализм, подразумевающий счастье всех разумных существ, означает то «исключительное умножение одних и тех же вещей», которое, по мнению Лейбница, привело бы к обнищанию мира. Кроме того, такой мир не содержит контрастов, необходимых для полного проявления разноприродных составляющих целого. Среди возможных миров находится и тот мир, в котором все существа использовали бы свою свободу для добра. Это, казалось бы, и есть лучший из возможных миров, но не он избран Богом для актуализации. В системе Лейбница чисто гипотетическая вероятность такого мира допускается, и он вполне удовлетворяет требованию внутренней непротиворечивости. Бог мог избрать «такую последовательность возможностей, где все эти несчастья были бы исключены. Но Бог не исполнил бы того, что должен был бы исполнить по отношению к универсуму, т. е. того, что должен был исполнить по отношению к самому себе» [11, 211-212; 205]. Отсутствие морального зла (греха) с

необходимостью предполагает отсутствие наказания и вечного ада. Однако Лейбниц в очередной раз подчеркивает ошибочность суждения, будто счастье разумных существ является единственной целью Бога [Там же, 205]. Объективно такой Универсум по понятным причинам не был бы оптимальным. Фактически возможность выбора Богом актуализации другого мира, чем тот, что соответствует критерию максимума сущности, исключается.

Все вышеизложенное позволяет сделать такие обобщения. Позиция Лейбница по вопросу вечного наказания отличается от традиционной модели. Лейбниц согласен с евангельским утверждением о загробном воздаянии, что ожидает праведных и грешников. Разум не может согласиться с тем, что конечные грехи требуют бесконечного наказания, поэтому философ приходит к выводу, что постоянное наказание целесообразно лишь в том случае, когда постоянно присутствует грех. Для объяснения почему проклятые грешат постоянно и никогда не оставят ада, Лейбниц разрабатывает соответствующую теорию, из которой следует, что во-первых, Бог не является ответственным за страдания грешников, поскольку эти последние используют свободу воли для дальнейшего умножения нечестия и сами являются творцами собственного ада, во-вторых, страдания проклятых имеют психологический характер.

Заслуживает внимания и то обстоятельство, что Лейбниц переосмысливает привычный христианский эксклюзивизм (*extra Ecclesiam nulla salus*), утверждая, что по крайней мере некоторые группы нехристиан будут спасены.

Литერატურა **References:**

1. Adams R. Justice, Happiness, and Perfection in Leibniz's City of God / Robert Merrihew Adams // *New Essays on Leibniz's Theodicy*. – Oxford University Press, 2014. – P. 197-217
2. Almond P. Heaven and Hell in Enlightenment England. – Cambridge: Cambridge University Press, 1994. – 252 p.
3. Kvanvig J. The problem of hell. – New York, Oxford: Oxford University Press, 1993. – 192 p.
4. Leibniz: The Philosopher's Confession. – Mode of access: <http://www.leibniz-translations.com/confession.htm>
5. Pinnock C.H. The conditional view / Clark H. Pinnock // *Four views on hell*. – Grand Rapids, 1996. – P. 135-166.

6. Strickland L. Leibniz on Eternal Punishment // British Journal for the History of Philosophy, 2009, 17:2. – P. 307-331
7. Swinburne R. A Theodicy of Heaven and Hell // Freddoso A. (Ed.). The Existence and Nature of God. – Notre Dame, 1983. – P. 37-54.
8. Volkova E. Visions of Heaven and Hell // The Oxford Handbook of English Literature and Theology. – Oxford, 2007. – P. 793-806.
9. Walker D.P. The Decline of Hell: Seventeenth-Century Discussions of Eternal Torment. – University of Chicago Press, 1964. – 272 p.
10. Лавджой А. Великая цепь бытия: История идеи. – М.: Дом Интеллектуальной книги, 2001. – 376 с.
11. Лейбниц Г.В. Теодицея / Г.В. Лейбниц. Сочинения в 4 т. / [Редкол.: Б.Э. Быховский, Г.Г. Майоров, И.С. Нарский и др. Ред. тома, авт. вступ. ст. и примеч. В.В. Соколов] – М.: Мысль, 1989 – (Филос. наследие; Т. 108). – Т. 4. – 554 с.

Рецензент: Сергей Шевченко, кандидат философских наук, научный сотрудник отдела истории зарубежной философии Института философии имени Г.С. Сковороды НАН Украины

ვალერი კუხევი

ჯოჯოხეთის თეოდიცეა თანამედროვე ფილოსოფიაში: ბ.ვ. ლეიბნიცი

რეზიუმე

სტატიაში ავტორმა განიხილა ჯოჯოხეთის პრობლემა გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის გოტფრიდ ლეიბნიცის შემოქმედებაში. გამოიკვლია ფილოსოფოსის შეხედულებები სამუდამო მისჯის თეზისის შესახებ. ჩატარებულია ჯოჯოხეთის ტრადიციული მოდელისა და ლეიბნიცის მიერ შემოთავაზებული ალტერნატივის კორპორატიული ანალიზი. ავტორი ავლენს ჯოჯოხეთის პრობლემის როლს და ადგილს ლეიბნიცის თეოდიციის საერთო სისტემაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შესაძლო სამყაროთა შორის საუკეთესო კონცეფციას ჯოჯოხეთის იდეის სხვადასხვა ინტერპრეტაციებთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ჯოჯოხეთის იდეა, თეოდიცეა, საუკეთესო შესაძლო სამყაროთა შორის

რეცენზენტი: სერგეი შევჩენკო, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვ.ს.სკოვოროდას სახელობის ინსტიტუტის საზღვარგარეთის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი.

Valery Kuzev

THEODICY OF HELL IN PHILOSOPHY OF EARLY MODERN PERIOD: GOTTFRIED LEIBNIZ

Summary

The article discusses the subject of the problem of hell in the works of great German philosopher Gottfried Leibniz. The thinker's basic arguments in support of the eternal punishment thesis are examined. The author carries out a comparative analysis of the traditional model of hell and some alternatives proposed by Leibniz. The author reveals the role and place of the problem of hell in the general system of Leibniz's theodicy. Particular attention is paid to the concept of the best of all possible worlds in its relationship with the various interpretations of the idea of hell.

Keywords: the idea of hell, theodicy, God, evil, the best of all possible worlds

Reviewer: Sergij Shevchenko, PhD H.S. Skovoroda Institute of Philosophy, National Academy of Sciences of Ukraine, research officer.

საჯარო მმართველობის პრაქტიკა

ლიზა ამილახვარი
საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი - პრობლემები
და პერსპექტივები

ძალთა მსოფლიო ბალანსის ახალი გადაწყვეტილების პირობებში საქართველო აქტიურად ეძებს თავის ადგილს ახალ რეალობაში, თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება. როდესაც საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთობების განვითარებას განვიხილავთ, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სჭირდება ევლო მხარეს რეალურად ეს ურთიერთობები.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ასოცირების ხელშეკრულება ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, მითუმეტეს, რომ ახალი წევრების მიღება გადაიდო გაურკვეველი ვადით, რადგან თვით ევროკავშირი ამ ეტაპზე სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას.

ამ სტატიის ფარგლებში ჩვენ განვიხილეთ ასოცირების ხელშეკრულების გარკვეული პუნქტები და ის თუ რა სარგებელი შეიძლება ნახოს საქართველომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად. ასევე, განვიხილეთ ის ეჭვები, რომელიც განჩნდა საზოგადოების გარკვეულ ფენებში.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, ასოცირების ხელშეკრულება, თანამშრომლობა, პარაფირება, თავისუფალი სავაჭრო ზონა, უსაფრთხოების პოლიტიკა, ვიზა ლიბერალიზაცია.

მეცხრამეტე საუკუნიდან, ქართული ელიტისთვის სიკეთისა და ჭეშმარიტების ცენტრი დასავლეთთან, ევროპასთან იყო გაიგივებული. საქართველოს ძირითად მიზნად დასავლეთისკენ ხიდების გადება, გადასავლურება გაიაზრებოდა, რაც ამავე დროს საკუთარ ჭეშმარიტ ბუნებასთან ხელახალ დაბრუნებადაც ითვლებოდა.

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ - სტრასბურგში ევროსაბჭოში მიღების დროს ზურაბ ჟვანიას მიერ წარმოთქმულ ამ ფრაზას დიდი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. ამ პოლიტიკური განცხადების მიღმა დგას საქართველოს ევროპულობის პოლიტიკური, ისტორიული და კულტურული საფუძვლების პრობლემა. საქართველოს ევროპულობაში იგულისხმება არა გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ ამ ქვეყნის მოსახლეობის მიერ ევროპული ფასეულობების გაზიარება და ამ ფასეულობებზე ორიენტაცია.

ძალთა მსოფლიო ბალანსის ახალი გადაანაწილების პირობებში საქართველო აქტიურად ეძებს თავის ადგილს ახალ რეალობაში, თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება. როდესაც საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთობების განვითარებას განვიხილავთ, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სჭირდება ყველა მხარეს რეალურად ეს ურთიერთობები.

1.2 "Новый" вариант. По этому варианту предлагается осуществлять проведение многократных закупок всех видов овощей, хранящихся в торговых сетях на краткосрочные периоды. При этом перед каждой закупкой предварительно осуществляется мониторинг цен на овощи в торговых сетях в регионе дислокации воинской части, по результатам которого организуется и проводится эта закупка.

Определим основной параметр этого варианта – период, на который нужно закупать i -й вид овощей. Очевидно, что этой период T_n будет для всех видов овощей одинаков. Обоснуем величину этого периода.

Во-первых, из требования приказа [4], на продовольственных складах в/ч должен содержаться месячный запас продуктов питания. Во-вторых в условиях в/ч минимальный период времени на проведение организационных мероприятий по подготовке и осуществлению закупки составляет не менее одного месяца. С учетом приведенных условий предлагается следующий порядок проведения закупок по новому варианту. В период основного сбора урожая (сентябрь - октябрь) осуществляется их первая заготовка в объеме двух месячной потребности. В дальнейшем, начиная с ноября, проводится ежемесячная закупка в объеме месячной потребности. При этом закупленные в текущем месяце овощи будут использоваться после полного потребления предварительно закупленных овощей, то есть максимальный период хранения овощей в овощехранилище не будет превышать 2 месяца.

Расчет месячного объема закупки овощей i -го вида в торговых сетях при новом варианте ($W_{нов i, т}$) осуществляется по формуле:

$$W_{нов i} = k_i \cdot N \cdot 30, \quad (2)$$

где k_i - суточная норма обеспечения одного военнослужащего i -м видом овощей, т/сутки • чел [5];

N - среднее количество военнослужащих в/ч, обеспечиваемых овощами в течение года, чел.;

30 - среднее количество дней в месяце.

В формуле (2) коэффициент нормы надбавки естественной убыли при планировании объема закупки овощей не учитывается так, как эти потери будут составлять незначительную величину (до 0,45% от незначительного объема многократных закупок). Этими потерями при сравнительном оценивании вариантов можно пренебречь [3].

Вторым важным параметром нового варианта есть помесечные цены на все виды овощей, по которым осуществляется их закупка воинскими частями. Для определения этих цен предлагается использовать данные Государственного комитета статистики

Украины, которые предоставляют информацию о среднестатистических ежемесячных ценах на продовольствие. Данные об этих ценах, по соответствующему запросу, поступают в каждую воинскую часть из уполномоченного органа и хранятся в архиве воинской части в течение 5 лет.

2. *Приведение вариантов к сопоставимому виду.*

К базовому и новому вариантам предъявляются требования тождества и сопоставимости [3].

2.1. *Обеспечение тождества вариантов.* При оценивании вариантов, рассматриваемых независимо от способа достижения эффекта (сезонной заготовки или закупки в торговых сетях), в каждом из них должна выполняться одинаковая функция - обеспечение овощами военнослужащих в нужной количестве и с требуемыми показателями качества.

2.2. *Обеспечение сопоставимости вариантов.* В общем случае ВЭ анализ вариантов предусматривает рассмотрение по ним военного эффекта и затрат. Обозначим для данного случая: E_{δ} и E_H - показатели военного эффекта по базовому и новому вариантам; Z_B и Z_H - показатели затрат по этим вариантам.

Под военным эффектом в данной задаче понимается такой объем и качество удовлетворения потребностей личного состава воинских частей в овощах, которые обеспечат поддержание физических сил, выносливости, здоровья военнослужащих и, в конечном счете, - высокую боеспособность подразделений. Исходя из поставленных задач и норм обеспечения, которые являются одинаковыми в обоих вариантах, потребность в овощах необходимо удовлетворять в любом случае или за счет существующей системы снабжения, или путем многократных закупок у поставщиков на краткосрочные периоды. То есть содержательно должно быть обеспечено равенство военных эффектов в задачах: $E_{\delta} = E_H$.

С учетом обозначенного, возникает преобразования задачи ВЭ анализа с векторной (оценки военного эффекта и затрат по каждому варианту) в скалярную (оценки только затрат по каждому варианту), где достигается равенство между военными эффектами в вариантах, а затраты на достижение эффекта у них отличаются между собой. Поэтому решение о лучшем варианте необходимо принимать на основе сопоставления затрат по вариантам. Содержание показателей затрат по вариантам (Z_B , Z_H) и порядок принятия решения на основе их величины будет рассмотрен ниже.

Таким образом, предложено обеспечить сопоставимость вариантов закупки овощей при их оценке путем использования единого критерия эффективности - уровня затрат на их осуществление.

3. *Определение капитальных вложений и текущих затрат по вариантам.*

Перечень и обозначения капитальных и текущих расходов для обоих вариантов приведены в табл. 2.

Расчет величины K_{61} . Капитальные затраты на строительство овощехранилища по базовому варианту (K_{61} , грн) осуществляется по формуле:

$$K_{61} = c \cdot V_6, \quad (3)$$

где c - стоимость 1м^3 типового овощехранилища для хранения овощей в контейнерах, грн/ м^3 ;

V_6 - объем овощехранилища по базовому варианту, м^3 .

Размер V_6 определяется следующим образом:

$$V_6 = \sum_{i=1}^5 W_{\text{баз}i} \cdot H_i, \quad (4)$$

где $W_{\text{баз}i}$ - общий объем сезонной заготовки i -го вида овощей для воинской части (1), т;

H_i - норма объема склада для хранения 1 т i -го вида овощей в контейнерах (табл. 1), $\text{м}^3/\text{т}$.

Таблица 2

Перечень и обозначения капитальных и текущих расходов для обоих вариантов

№ п/п	Вид затрат	Вариант	
		Базовый	Новый
1	Расходы на строительство овощехранилища, грн.	K_{61}	$K_{н1}$
2	Расходы на закупку контейнеров для хранения овощей, грн.	K_{62}	$K_{н2}$
3	Расходы на закупку овощей, грн/год	$П_{63}$	$П_{н3}$
4	Оплата услуг на проведение леватизации и дезинсекции овощехранилища, грн/год	$П_{64}$	$П_{н4}$
5	Расходы на электроэнергию для принудительной вентиляции овощехранилища, грн/год	$П_{65}$	$П_{н5}$
6	Расходы на текущий ремонт овощехранилища, грн/год	$П_{66}$	$П_{н6}$
7	Денежное солепжание начальника овощехранилища, грн/год	$П_{67}$	-

Расчет величины K_{62} . Капитальные затраты на закупку контейнеров для хранения овощей по базовому варианту (K_{62} , грн) определяется по формуле:

$$K_{62} = \sum_{i=1}^5 \left(\frac{W_{общ\ i}}{M_{ki}} \right) \cdot B_k, \quad (5)$$

где M_{ki} - вместимость одного контейнера для хранения i -го вида овощей, т/ед. ;

B_k - стоимость приобретения одного контейнера, грн/шт.

Расчет величины Π_{63} . Текущие расходы на закупку овощей при базовом варианте (Π_{63} , грн / год) определяются по формуле:

$$\Pi_{63} = \sum_{i=1}^5 W_{общ\ i} \cdot \overline{C_{ic}^R} (1 - \mu_i) + \sum_{i=1}^5 W_{общ\ i} \cdot \overline{C_{ic}^{80}} (1 - \mu_i), \quad (6)$$

где $\overline{C_{ic}^R}$ - средние месячные цены на закупку картофеля ($i = 1$) и лука ($i = 2$) в сентябре с учетом расстояния доставки этих овощей по базовому варианту R_B , грн/т;

$\overline{C_{ic}^{80}}$ - средние месячные цены на закупку свеклы ($i = 3$), моркови ($i = 4$) и капусты ($i = 5$) в сентябре с учетом среднего радиуса доставки $R_H = 80$ км, грн/т;

μ_i - скидки оптовой цены на закупку i -го вида овощей в зависимости от объема их закупок.

Расчет величины Π_{64} . Текущие расходы на оплату услуг для проведения дератизации и дезинсекции овощехранилища по базовому варианту (Π_{64} , грн/год) рассчитывается по формуле:

$$\Pi_{64} = 4 \cdot V_{\bar{o}} \cdot (B_{дер} \cdot B_{dez}), \quad (7)$$

где $B_{дер}, B_{dez}$ - стоимость проведения в соответственно дератизации и дезинсекции 1м^3 овощехранилища, грн/ м^3 ;

4 - количество проведенных работ по дератизации/дезинсекции за один год.

Расчет величины Π_{65} . Текущие расходы на электроэнергию для принудительной вентиляции овощехранилища по базовому варианту (Π_{65} , грн/год) рассчитывается по формуле:

$$\Pi_{65} = P_{\bar{o}} \cdot t_{\bar{o}} \cdot B_{кВм \cdot ч}, \quad (8)$$

где P_{σ} - мощность электродвигателя для принудительной вентиляции овощехранилища по базовому варианту (зависит от объема овощехранилища по базовому варианту), кВт;

t_{σ} - срок работы принудительной вентиляции овощехранилища по базовому варианту в год, час;

$B_{кВт \cdot ч}$ - стоимость одного кВт · часа электроэнергии, грн/кВт · ч.

Расчет величины $\Pi_{\sigma 6}$. Расходы на текущий ремонт овощехранилища по базовому варианту ($\Pi_{\sigma 6}$, грн/год) рассчитывается по формуле:

$$\Pi_{\sigma 6} = K_{\sigma 1} \cdot 0,01, \quad (9)$$

где $K_{\sigma 1}$ - капитальные затраты на строительство овощехранилища, грн;

0,01 - доля расходов от на проведение текущих ремонтов помещений, зданий и сооружений в течение года [6].

Расчет величины $\Pi_{\sigma 7}$. Текущие расходы на годовое денежное содержание начальника овощехранилища по базовому варианту ($\Pi_{\sigma 7}$, грн/год) определяются по формуле:

$$\Pi_{\sigma 7} = 12 \cdot G_j + O_3, \quad (10)$$

где G_j - величина месячного денежного обеспечения начальника овощехранилища, грн/мес;

O_3 - величина ежегодной денежной выплаты начальнику овощехранилища на оздоровление, грн/год;

12 - количество месяцев в году.

Перечень и обозначение расходов по новому варианту приведены в табл. 2.

В отличие от базового в новом варианте не предвидится текущих расходов на денежное содержание начальника овощехранилища. Это объясняется нецелесообразностью содержания данного должностного лица, в связи со значительным уменьшением объема его функциональных обязанностей при осуществлении периодических закупок овощей. Служебные обязанности начальника овощехранилища в данном случае предлагается распределить между остальными должностными лицами продовольственной службы воинской части.

Расчет величины $K_{н1}$. Капитальные затраты на строительство овощехранилища по новому варианту ($K_{н1}$, грн) осуществляется по формуле:

$$K_{n1} = k \cdot V_n, \quad (11)$$

где k - стоимость 1м³ овощехранилища для хранения овощей в контейнерах, грн/м³;

V_n - объем овощехранилища по новому варианту, м³.

Величина V_n определяется следующим образом:

$$V_n = \sum_{i=1}^5 2W_{зак.i} \cdot H_i, \quad (12)$$

где $W_{зак.i}$ - месячный объем закупки овощей i -го вида в торговых сетях для воинской части по новому варианту, т (2);

H_i - норма объема склада для хранения 1 т i -го вида овощей в контейнерах, м³/т (табл.1).

2 - в период основного сбора урожая (сентябрь - октябрь) осуществляется первая максимальная заготовка овощей по новому варианту в объеме 2 - х месячной потребности.

Расчет величины K_{n2} . Капитальные затраты на закупку контейнеров для хранения овощей по новому варианту (K_{n2} , грн) определяется по формуле:

$$K_{n2} = \sum_{i=1}^5 \left(\frac{2W_{зак.i}}{M_{ki}} \right) \cdot B_k, \quad (13)$$

где M_{ki} - вместимость одного контейнера для хранения i -го вида овощей, т/ед.;

B_k - стоимость приобретения одного контейнера, грн/шт.

Расчет величины Π_{H3} . Текущие расходы на закупку овощей при новом варианте (Π_{H3} , грн/год) определяются по формуле:

$$\Pi_{H3} = \sum_{i=1}^5 2W_{зак.i} \cdot \overline{C_{ic}^{80}} (1 - \mu_i) + \sum_{i=1}^5 \sum_{j=1}^7 W_{зак.i} \cdot \overline{C_{ij}^{80}} (1 - \mu_i), \quad (14)$$

где $\overline{C_{ic}}$ - средние месячные цены на закупку i -х видов овощей в сентябре с учетом среднего радиуса доставки $R_H = 80$ км, грн/т;

$\overline{C_{ij}^{80}}$ - средние месячные цены на закупку i -х видов овощей в j -х месяцах (начиная с октября ($j=1$) и заканчивая апрелем ($j=7$)), когда осуществляется одномосячный запас закупки овощей, с учетом среднего радиуса доставки $R_H = 80$ км, грн/т.

Среднемесячные цены являются обобщающими ценовыми показателями для овощей, полученные по данным их пятилетнего мониторинга Государственным комитетом статистики Украины для соответствующих регионов Украины.

Показатели $П_{н4}$, $П_{н5}$, $П_{н6}$ рассчитываются по формулам аналогичными (7), (8), (9) с учетом соответствующих данных нового варианта.

4. Выбор и расчет показателей сравнительной оценки вариантов.

В п. 2.2 было показано, что сравнение вариантов, нужно осуществлять на основе использования единого критерия эффективности - уровня затрат на их осуществление. Рассмотрим содержание и порядок расчета этих затрат.

4.1. Расчет показателя сравнительной оценки по базовому варианту ($З_Б$). Этот показатель предложено определять как сумму составляющих капитальных и эксплуатационных затрат по базовому варианту, приведенные в табл. 2, разделенную на количество военнослужащих, которое находится на довольствия в v^4 :

$$З_Б = (K_{61} + K_{62} + П_{63} + П_{64} + П_{65} + П_{66} + П_{67})/N, \quad (15)$$

где N - количество военнослужащих, которое находится на довольствия в воинской части.

Значение составляющих в (15) определяются соответственно по формулам (3 ÷ 10).

В (15) капитальные вложения (K_{61} , K_{62}) непосредственно суммируются с текущими расходами ($П_{63}$, $П_{64}$, $П_{65}$, $П_{66}$, $П_{67}$). Это возможно сделать только в том случае, когда текущие расходы учитываются только за один год. Это условие соблюдается.

4.2. Расчет показателя сравнительной оценки по новому варианту ($З_Н$). Расходы по новому варианту ($З_Н$) определяются аналогично $З_Б$:

$$З_Н = (K_{н1} + K_{н2} + П_{н3} + П_{н4} + П_{н5} + П_{н6})/N. \quad (16)$$

5. Выбор лучшего варианта и оценка эффективности его использования.

При рассчитанных величинах суммарных затрат на поставку овощей в расчете на 1 военнослужащего по базовому варианту (15) и новому варианту (16) решение о лучшем варианте необходимо принимать путем расчета показателя сравнительного экономического эффекта сопоставления вариантов (E):

$$E = З_Б - З_Н > 0 \text{ - лучшим считается новый вариант;}$$

$$E = З_Б - З_Н < 0 \text{ - лучшим считается базовый вариант;}$$

$E = 0$ (при $З_Б = З_Н$) - решение принимается из других (не экономических) соображений (например, оставить базовый вариант, чтобы сохранить "статус кво").

Для типовых ситуаций организации обеспечения овощами воинских частей НГУ по рассмотренным вариантам обеспечения

овощами проведена оценка их сравнительных показателей. К этим ситуациям относятся следующие: 1 - развернутая в пункте постоянной дислокации (ППД) бригада НГУ; 2 - только сформированная бригада НГУ, которая разворачивается на новом месте; 3 - развернутый в ППД батальон НГУ.

Основные исходные данные и результаты расчетов показателей сравнительной оценки вариантов по типовым ситуациям приведены в табл. 3.

Таблица 3
Показатели сравнительной оценки вариантов для типовых ситуаций (в ценах на 31.12.2014 г.)

Рассматриваемые ситуации	К-во л/с, чел	Объем овощехранилища, м ³		Расходы на содержание нач. овощехран., грн/год		Суммарные годовые расходы по вариантам, грн/год		Разница между суммарными годовыми расходами по вариантам, грн/год	Сравнительный эффект сопоставления вариантов (Е), грн/год * чел
		Базовый вариант	Новый вариант	Базовый Вариант	Новый вариант	Базовый Вариант	Новый вариант		
	2	3	4	5	6	7	8	9	10
Ситуация 1	322	229,46	42,54	35550	-	314 895	230 918	83 977	260,8
Ситуация 2	780	555,84	103,04	35550	-	1 285 151	664 320	620 831	795,94
Ситуация 3	107	76,22	14,12	-	-	93 374	80 180	13 194	123,3

Из данных, приведенным в табл. 3 можно увидеть следующее:

во-первых, для всех типовых ситуаций организации обеспечения воинских частей овощами сравнительный эффект (столб. 10) имеет существенную положительную величину. Из этого следует, что для них лучшим является новый вариант обеспечения овощами, который предусматривает проведение многократных закупок овощей в относительно небольших объемах на краткосрочные периоды потребления;

во-вторых, сопоставление ситуации 1 с ситуацией 2 по показателю сравнительного эффекта (столб. 10) свидетельствует о том, что эффективность внедрения нового варианта обеспечения овощами для формируемых воинских частей почти в два раза выше по сравнению с воинскими частями, находящимися в местах постоянной дислокации.

Таким образом, рассмотренный методический подход позволяет учесть при анализе вариантов обеспечения овощами воинских частей основные влияющие факторы: порядок заготовки овощей по различным вариантам и расходы на ее проведение, расходы на

строительство и ремонт овощехранилища, денежное содержание начальника овощехранилища, расходы на электроэнергию для принудительной вентиляции овощехранилища и другие. Расчеты, проведенные на примере типовых ситуаций обеспечения овощами воинских частей НГУ, убедительно показали преимущества многоразовых их закупок в относительно небольших объемах на краткосрочные периоды потребления.

Литература

References:

1. Єдиний зональний розподіл до норм природних втрат свіжої й переробленої плодоовочевої продукції при тривалому й короткочасному зберіганні: Наказ // Наказ МВС. – 173, 1988. - с. 3-23.
2. Лифиц И.М. Конкурентоспособность товаров и услуг / И.М. Лифиц. – М.: Юрайт - Издат, 2009. – с.360-362.
3. Василенко В. П.. Военно-економічний аналіз: Конспект лекцій. – Харків: Акад. внутрішніх військ МВС України, 2009. – 141 с.
4. Положення про продовольче забезпечення Національної гвардії України в мирний час [Електрон. ресурс]: Наказ МВС України від 24.09.2015 р. № 1118. – Режим доступу : <http://zakon1.rada.gov.ua/cgi-bin/laws/>.
5. Про норми харчування військовослужбовців Збройних Сил, інших військових формувань та осіб рядового, начальницького складу органів і підрозділів цивільного захисту та Державної служби спеціального зв'язку та захисту інформації [Електрон. ресурс]: Постанова Кабінету Міністрів України (зі змінами) від 29.03.2002 р. № 426. – Режим доступу: <http://zakon1.rada.gov.ua/cgi-bin/laws/>.
6. Державні будівельні норми України. Будинки і споруди. [Електрон. ресурс]: Режим доступу: <https://search.ligazakon.ua>.

Рецензент: Профессор Вячеслав Городнов, доктор военных наук, профессор кафедры менеджмента и войскового хозяйства факультета экономики и менеджмента Национальной академии Национальной гвардии Украины.

ალექსანდრ ბონდარენკო, ვალერი ვასილენკო
საბაზრო კირობებში სამხედრო ნაწილების სურსათით
მომარაგების უზრუნველყოფის ვარიანტების შეფასება

რეზიუმე

ავტორი გვთავაზობს მეთოდურ მიდგომას უკრაინის ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილების სურსათით მომარაგების უზრუნველყოფის ვარიანტების სამხედრო ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისადმი. სტატიაში მოყვანილია უკრაინის ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილების ბოსტნეულით მომარაგების ორგანიზების ეფექტურობის შეფასების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: სეზონური დამზადებები, შესყიდვის ფასები, სამხედრო ეფექტი, კაპიტალური და მიმდინარე შეფასებები, ვარიანტების შედარებითი დახასიათება.

რეცენზენტი: პროფესორი ვიჩესლავ გოროდნოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის ეროვნული გვარდიის ეროვნული აკადემიის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და სამხედრო მეურნეობის ფაკულტეტის კათედრის პროფესორი

Alexander Bondarenko, Valeriy Vasilenko
AN ASSESSMENT OF OPTIONS PROVIDE FOOD FOR MILITARY
UNITS IN MARKET CONDITIONS

Summary

The methodical of the assessment of the military-economic efficiency options provide food for military units of the National Guard of Ukraine (NGU) is approach. The results of evaluating the effectiveness of the example of the current situation the organization provide vegetables for military units of the NGU.

Keywords: seasonal harvesting, purchase price, the military effect, capital and operating costs, comparative evaluation of options.

Reviewer: Professor Vyacheslav Gorodnov, Dr (Military), Department of Management and Military Economy, National Academy of National Guard of Ukraine.

გენო მორჩილაძე საბადასახადო კონტროლი

საგადასახადო კონტროლის მექანიზმის სისტემურად გააზრებისათვის მნიშვნელოვნად გვესახება საგადასახადო კოდექსით კონტროლის პროცედურების და ამავედროულად თითოეული პროცედურის შემთხვევაში მეწარმისა და მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოვალეობების უფრო მეტად დაკონკრეტება. ამჟამად, როდესაც ისედაც დიდ პრობლემას წარმოადგენს მეწარმეთა ინფორმირებულობის დონე კანონმდებლობასთან დაკავშირებით, მეწარმეებისთვის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, ძალზედ რთულია აღნიშნული უფლებამოვალეობების ცოდნა.

დამატებით შესაძლებელია ითქვას, რომ საგადასახადო კოდექსით ნათლად არ არის განსაზღვრული რა პერიოდის შემდგომ შეუძლია საგადასახადოს საწარმოს ხელახალი გადამოწმება.

საგადასახადო კონტროლის ეფექტური მართვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნისთვის. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა უფრო ეფექტურს გახდის საგადასახადო კონტროლის პროცედურებს. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ერთად აუცილებელია ყურადღება მიექცეს ეკონომიურ პროცესებს და მის შემადგენელ ნაწილებს. ქვეყნისთვის აუცილებელია ეკონომიური ურთიერთობები და მათი მაკონტროლებელი სისტემების გამართულობა.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო კონტროლი, კონტროლის პროცედურები, საკონტროლო შესყიდვა.

საგადასახადო კონტროლი სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციის განხორციელების ფორმა. ის უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და მუნიციპალური წარმონაქმნების ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. საგადასახადო კონტროლის ძირითადი მიზანია, დადგინდეს გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდის ვალდებულებების შესრულების მართებულობა და დროულობა. საგადასახადო კონტროლთან დაკავშირებული

დებულებები გამოიყენება ყველა გადასახადის და გადასახადის გადამხდელის მიმართ, თუ საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საგადასახადო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო, ხოლო საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში - საბაჟო ორგანო. სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს ეკრძალებათ პირის საქმიანობის საგადასახადო კონტროლის განხორციელება, აუცილებლობის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნით, რისთვისაც საგადასახადო ორგანო მოსამართლის ბრძანებით მოიპოვებს საგადასახადო კონტროლის უფლებას.

საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს პირის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს მისი საქმიანობა.

საგადასახადო კონტროლის სახეებია;

1) მიმდინარე კონტროლის პროცედურები;

- გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა;

-გადასახადის გადამხდელისგან ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა;

- ზოგადი ანლიტიკური პროცედურები.

2) გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვება;

- ქრონომეტრაჟი;

- საკონტროლო შესყიდვა;

- ინვენტარიზაცია;

- დათვალიერება.

3) საგადასახადო შემოწმება;

- კამერალური;

- გასვლითი.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის მიმართ გამოიყენოს საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, მოსამართლე საკითხს განიხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე. ამასთან მოსამართლის ბრძანება არ არის საჭირო გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების, კამერალური საგადასახადო შემოწმების, გეგმური გასვლითი საგადასახადო შემოწმების და საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს,

რომელიც დაკავშირებულია საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან.

მოსამართლე გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმების შესახებ ბრძანებას გასცემს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო მას წარუდგენს ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო შემოწმების შესახებ, გადასახადის გადამხდელის აღნიშნული შემოწმება არ უნდა ჩატარდეს.

მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის უკვე შემოწმებული საკითხის იმავე პერიოდის ხელახალი შემოწმება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიხედვითაც პირი უკვე შემოწმებულ პერიოდზე საგადასახადო ორგანოს წარუდგენს შესწორებულ საგადასახადო დეკლარაციას. უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი არ გვაძლევს საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის საქმიანობის უკვე შემოწმებული საკითხის იმავე პერიოდის ხელახალი შემოწმების ჩატარების საფუძველებს, რაც მის მნიშვნელოვან ხარვეზად მიგვაჩნია. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას პირის საქმიანობის უკვე შემოწმებული საკითხის იმავე პერიოდის ხელახალი შემოწმების თაობაზე სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მოსამართლის ბრძანების გარეშე ასევე აკრძალულია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარება იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას საგადასახადო კონტროლის ცალკეული პროცედურების განხორციელების თაობაზე, გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიმართ აღნიშნული პროცედურების გან ხორციელება დაუშვებელია.

გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო კონტროლი ხორციელდება მოსამართლის ბრძანების გარეშე. საგადასახადო კონტროლი სახელმწიფო კონტროლის ელემენტი და საგადასახადო მექანიზმის ნაწილია.

საგადასახადო კონტროლი დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაციით ხასიათდება. საგადასახადო კოდექსის მე-12 კარი – “საგადასახადო კონტროლი” – განსაზღვრავს საგადასახადო კონტროლის ფორმებს, საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების შემადგენლობას და შესაბამის კომპეტენციას, შემოწმების სახეებს და კონტროლის ცალკეული პროცედურების განხორციელების პროცესუალურ წესს.[1] საგადასახადო კონტროლი სპეციალიზებული (მხოლოდ გადასახადებთან მიმართებაში) ზეუწყებრივი (უწყებათა ფარგლებს გარეთ) სახელმწიფო კონტროლია. საგადასახადო კონტროლი უზრუნველყოფს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვას, გადასახადების სწორად გამოანგარიშებას, ბიუჯეტში მათ სრულად და დროულად გადახდას.

საგადასახადო კონტროლი სახელმწიფო ფინანსების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. საგადასახადო კონტროლი გულისხმობს საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილი პირების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურებით განხორციელებულ საქმიანობას. საგადასახადო კონტროლის მიზანია გადასახადებით დაბეგვრის სრულყოფილი სისტემის შექმნა, საგადასახადო სამართალდარღვევების გამოვლენა, მათი გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა.

საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფო იმუშავებს ვალდებულ სუბიექტებთან ურთიერთობის სპეციალურ მექანიზმებს: ქმნის სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს, განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას, ადგენს უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის განხორციელების წესს, ფორმებს და მეთოდებს, აგრეთვე აღნიშნული ორგანოების ზემოქმედების სახეებს, ვალდებულ პირების ქცევაზე უფლებამოსილი ორგანოს მაკონტროლებელი ფუნქციები უზრუნველყოფენ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვას და ბიუჯეტში ფინანსური სახსრების მობილიზებას. უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კონტროლის პროცედურები მოწვესრიგებულია საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისი პროცესუალური ნორმებით, რომლებიც ადგენენ მატერიალური საგადასახადო-სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის წესს. [2]

აღნიშნული საკითხი აქტუალურია, რადგან ხშირად გადასახადის გადამხელთა ინტერესების დარღვევასა და მათ უკმაყოფილებას, სწორედ, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლის შესრულებული ღონისძიებები იწვევს.

2010 წლის მონაცემებით ფინანსთა სამინისტროს დავეების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული იყო 1362 საჩივარი. 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთან მოთხოვნა 420 შემთხვევაში დაკმაყოფილდა, 666 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 177 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების გამო. [3]

2011 წლის მონაცემებით დავეების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული იყო 2258 საჩივარი. 2011 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 1300 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 368 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 261 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო. [4]

2012 წლის მონაცემებით დავეების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული იყო 1360 საჩივარი. 2012 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 355 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 218 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 182 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო. [5]

2013 წლის მონაცემებით დავეების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული იყო 1875 საჩივარი. 2013 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 450 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 265 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 162 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო. [6]

2014 წლის მონაცემებით დავეების განხილვის საბჭოში რეგისტრირებული იყო 1940 საჩივარი. მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 1062 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1052 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 436 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა

მომხიენის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო. [7]

უმეტეს მათგანში დავის საგანს წარმოადგენდა არასწორად ნაწარმოები საგადასახადო აღრიცხვის გამო არაპირდაპირი მეთოდით განხორციელებული დარიცხვა და ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აღურიცხავი საქონლისა და დანაკლისის გამო დარიცხული ჯარიმა. საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლი განსაზღვრავს საგადასახადო კონტროლის ზოგად დებულებებს, რომლებიც გამოიყენება ყველა გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიმართ, თუ საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოების მაკონტროლებელი საქმიანობის შეზღუდვებს. შეზღუდვები, თავისი არსით, გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტების, აგრეთვე სხვა ვალდებული პირების უფლებების დაცვის გარანტიებია. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო კონტროლის კონკრეტული მოქმედების განხორციელების მიზნით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალისტი ან ექსპერტი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ გვიდგენს ექსპერტისა და სპეციალისტის სტატუსსა და მათი მოწვევის წესს. [1] სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დამოუკიდებელი ექსპერტების ინსტიტუტი. იმისათვის, რომ დამოუკიდებელი ექსპერტების ინსტიტუტმა სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა აამაღლოს, ამისათვის საჭიროა ექსპერტმა დააკმაყოფილოს გარკვეული კრიტერიუმები. დამოუკიდებელი ექსპერტს უნდა გააჩნდეს თეორიული ცოდნა განსახილველ საკითხზე, შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება, საექსპერტო მუშაობის გამოცდილება, საკითხების ინტეგრირებულად განხილვისა და ანალიზის უნარი. სრულიად დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტი იყოს საჯარო მოსამსახურე, ასევე წარსულში იყო ან აწმყოში არის კონკრეტული საქმიანობის წარმომადგენლები, საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების მონაწილე ან განსახილველი საკითხის განხორციელებასთან სხვა ფორმით დაკავშირებული პირი. კონკრეტული საკითხით დაინტერესებული პირები და რა თქმა უნდა არ უნდა იყოს

ნათესაური კავშირი ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

სახელმწიფო ორგანოები ხშირად ნიშნავენ კონკრეტული საკითხების განსახილველად დამოუკიდებელ ექსპერტებს. დაუშვებელია ექსპერტმა, საქმის განხილვის პროცესში რომელიმე მხარის პოზიცია დაიკავოს, მან უნდა აღწეროს, განიხილოს და საბოლოო შედეგად დადოს ის დასკვნა რაც უტყუარი. იმ შემთხვევაში თუ დამოუკიდებელი ექსპერტი საქსპერტო კვლევის დასრულების შემდეგ დასკვნით ნაწილში არ დაწერს სიმართლეს და დაიკავებს რომელიმე მხარის პოზიციას მან პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე.

იმისათვის, რომ სახელმწიფო მათვის ეფექტიანობა ამ კუთხით იყოს მაღალ საფეხურზე აუცილებელია ექსპერტი თავის საქმიანობაში იყოს დამოუკიდებელი და დაცული გარე ჩარევებისაგან. ექსპერტმა უნდა თქვას ის სიმართლე რასაც ის დაადგენს, მიუხედავად იმისა სიმართლეს ცუდი შედეგი ექნება თუ პირიქით. სახელმწიფომ უნდა იმუშაოს იმ სიტუაციის გამოსასწორებლად რასაც დამოუკიდებელი ექსპერტი საბოლოო შედეგად დადებს. ჩემი აზრით, სწორედ ეს ფაქტორია რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ ექსპერტთა ინსტიტუტის როლის ამადლებას სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისათვის. ექსპერტის დასკვნა უნდა შეფასდეს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ საქმის სხვა მასალებთან ერთად. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი შეიძლება არ დაეთანხმოს ექსპერტის დასკვნებს. საგადასახადო კონტროლის კონკრეტული მოქმედების განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოწვეული იქნეს ასევე სპეციალისტი. რასაკვირველია ექსპერტისა და სპეციალისტის სტატუსი ერთმანეთისგან გაიმიჯნულია. სპეციალისტი მონაწილეობს საგადასახადო კონტროლის კონკრეტული მოქმედებების განხორციელების პროცესში (დათვალიერება, ამოღება, საგადასახადო კონტროლის პროცედურებისას განხორციელებული სხვა მოქმედებები), ექსპერტი კონკრეტულ მოქმედებებში, გარდა ექსპერტიზისა, მონაწილეობას არ იღებს. ექსპერტისაგან განსხვავებით სპეციალისტი დასკვნას არ იძლევა.

დღეს მოქმედი კონტროლის სისტემა მოიცავს მიმდინარე კონტროლის პროცედურებს, მეწარმის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებსა და საგადასახადო შემოწმებას.

კონტროლის ერთ-ერთ ფორმას განეკუთვნება ასევე ინვენტარიზაცია მეწარმის სასაწყობო მეურნეობასა თუ სათავსოებში. ამასთან, საგადასახადო ორგანოებს გააჩნიათ გაზრდილი უფლებები და ზოგიერთი კატეგორიის გადამხდელის საწყობში შეუძლიათ წლის განმავლობაში შეუზღუდავად შესვლა. ასევე, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მოსამართლის ბრძანების გარეშე გარკვეული ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოების ჩატარება, რაც მეწარმეთა ინტერესებს ცალსახად ზღუდავს.

საგადასახადო კონტროლი აქტუალური განსჯის საგნადაა ქცეული, რადგან ძალიან ხშირად გადასახადის გადამხდელთა ინტერესების დარღვევასა და მათ უკმაყოფილებას, სწორედ, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას შესრულებული ღონისძიებები იწვევს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლის თანახმად საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განახორციელოს გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა საქონლის/მომსახურების ღირებულების დასადგენად, დარღვევის ფაქტის გამოვლენის მიზნით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საგადასახადო ორგანოსათვის ამ უფლების მინიჭება, მას მაკონტროლებელი ორგანოდან სამართალდამცავ ორგანოდ აქცევს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლის მე-3 პუნქტში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ „საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას შესაძლებელია გამოვიდეს, როგორც ფსევდომომხმარებელი. საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია ამ მიზნით მიმდინარე კონტროლის განმახორციელებელ პირზე გასცეს ფსევდოლოკუმენტები.” საგადასახადო ორგანოს მხრიდან აღნიშნული ქმედება ახდენს საგადასახადო სამართალდარღვევისა და დანაშაულის პროვოცირებას, რაც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დანაშაულად ითვლება. [1] [8]

ჩვენი აზრით, საგადასახადო ორგანოსათვის ამ ფუნქციის მინიჭებამ, ის მაკონტროლებელი ორგანოდან სამართალდამცავ ორგანოდ აქცია. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს საქმიანობა არალეგალურია, რადგან 258-ე მუხლის მე-3 პუნქტში დაფიქსირებულია, რომ „საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საკონტროლო შესყიდვის ან/და

საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას შესაძლებელია გამოვიდეს, როგორც ფსევდომომხმარებელი. საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია ამ მიზნით მიმდინარე კონტროლის განმახორციელებელ პირზე გასცეს ფსევდოლოკუმენტები.” საგადასახადო ორგანოს ამგვარი ქმედება ახდენს საგადასახადო სამართალდარღვევისა და დანაშაულის პროვოცირებას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლის თანახმად დასჯად ქმედებად ითვლება.[9] ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია, ხოლო კიდევ უფრო ცუდ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, იმ ოპერატიული მუშაკის ქმედება, რომელმაც განახორციელა საკონტროლო შესყიდვა ფსევდომომხმარებლის სახელით შეფასდეს როგორც დანაშაულის პროვოკაცია.[10] დღეისათვის საგადასახადო შემოწმებების თუ სხვა ქმედებების საფუძველია გადასახადის გადამხდელზე ოპერატიული ინფორმაცია ან წინასწარ შედგენილი შემოწმების გეგმა. არ არსებობს კვლევის მეთოდები, რომლებიც მისცემდა საგადასახადო ორგანოებს გადასახადის გადამხდელების შერჩევითი შემოწმებისა და ძირითადი აქცენტის გაკეთების შესაძლებლობას პოტენციურად დამრღვევი გადამხდელების მიმართ.

საგადასახადო კონტროლის მექანიზმის სისტემურად გააზრებისათვის მნიშვნელოვნად გვესახება საგადასახადო კოდექსით კონტროლის პროცედურების და ამავდროულად თითოეული პროცედურის შემთხვევაში მეწარმისა და მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოვალეობების უფრო მეტად დაკონკრეტება. ამჟამად, როდესაც ისედაც დიდ პრობლემას წარმოადგენს მეწარმეთა ინფორმირებულობის დონე კანონმდებლობასთან დაკავშირებით, მეწარმეებისთვის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, ძალზედ რთულია აღნიშნული უფლება-მოვალეობების ცოდნა.

დამატებით შესაძლებელია ითქვას, რომ საგადასახადო კოდექსით ნათლად არ არის განსაზღვრული რა პერიოდის

შემდგომ შეუძლია საგადასახადოს საწარმოს ხელახალი გადამოწმება.

საგადასახადო კონტროლის ეფექტური მართვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნისთვის. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა უფრო ეფექტურს გახდის საგადასახადო კონტროლის პროცედურებს. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ერთად აუცილებელია ყურადღება მიექცეს ეკონომიურ პროცესებს და მის შემადგენელ ნაწილებს. ქვეყნისათვის აუცილებელია ეკონომიური ურთიერთობები და მათი მაკონტროლებელი სისტემების გამართულობა გამართულობა.

ლიტერატურა

References:

- 1) saqarTvelos sagadasaxado kodeqsi 17.09.2010 www.matsne.gov.ge (2016 wlis 20 martis monacemebiT) .
- 2) saqarTvelos sagadasaxado kodeqsis komentarebi, Tbilisi 2012 <http://nccl.ge/m/u/ck/files/Tax%20Code%20Commentaries%20II.pdf> (2016 wlis 26 martis monacemebiT).
- 3) saqarTvelos finansTa saminstros davebis ganxilvis sabWos 2010 wlis statistikuri monacemebi. http://www.taxdisputes.gov.ge/images/file/annual%20report_2010.pdf (Semowmebulia 2016 wlis 28 marts).
- 4) saqarTvelos finansTa saminstros davebis ganxilvis sabWos 2011 wlis statistikuri monacemebi. <http://www.taxdisputes.gov.ge/images/file/2011%20Report.pdf> (Semowmebulia 2016 wlis 28 marts).
- 5) finansTa saminstros davebis ganxilvis sabWos 2012 wlis statistikuri monacemebi. <http://www.taxdisputes.gov.ge/images/file/2012%20Report.pdf> (Semowmebulia 2016 wlis 28 marts).
- 6) finansTa saminstros davebis ganxilvis sabWos 2013 wlis statistikuri monacemebi. <http://www.taxdisputes.gov.ge/images/file/2013%20Report.pdf> (Semowmebulia 2016 wlis 28 marts).
- 7) finansTa saminstros davebis ganxilvis sabWos 2013 wlis statistikuri monacemebi. http://www.taxdisputes.gov.ge/images/file/statistika_2014.pdf (Semowmebulia 2016 wlis 28 marts).

- 8) i. gabisonia. sagadasaxado samarTali gadasaxadis gadamxdelis uflebebis dacvis meqanizmebi, Tbilisi, 2013 weli.
- 9) saqarTvelos sisxlis samarTlis kodeqsi 22.07.1999 www.matsne.gov.ge (2016 wlis 27 martis monacemebiT) .
- 10) saqarTvelos sisxlis samarTlis saproceso kodeqsi 09.10.2009 www.matsne.gov.ge (2016 wlis 27 martis monacemebiT).

Geno Morchiladze
TAX CONTROL

Summary

For the systemic analysis of the tax control mechanism, we deem it important to specify oversight procedures of the tax code and at the same time responsibilities of the oversight body in case of each and every procedure issue. At present, when entrepreneurs awareness of legislation is already a serious problem, especially for small and medium business representatives, the knowledge of the above mentioned rights and obligations is extremely important.

In addition, it can be emphasized, that the Tax Code does not clearly define, after what period of time tax authority can re-check the enterprise.

The effective management of tax oversight is an important factor for the country. We believe, that solving these problems will become more effective tax oversight procedures. Together with the ongoing political processes in Georgia, it is necessary to pay attention to the economic processes and their constituent parts. Economic relations and the functionality of their oversight systems are necessary for the country.

Keywords: Tax control, Procedures of Control, Control purchase.

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University.

Гено Морчиладзе
НАЛОГОВЫЙ КОНТРОЛЬ

Резюме

Для системного анализа налогового контроля значимым представляется процедура контроля налогового кодекса, а также, в случае каждой процедуры кодекса более детальное разъяснение взаимоотношений между предпринимателем и органам налогового контроля.

Особенно сейчас, когда предпринимателям представляется проблематичным уровень информированности по отношению к законодательству для предпринимателей, особенно для среднего и малого бизнеса очень трудно, знать выше упомянутом о правах и обязанностях.

Дополнительно можно сказать что в налоговом кодексе не указан после какого периода могут налоговые службы сделать повторную проверку предприятия.

Для страны значимым является эффективное управление налоговым контролем. Думаем что устранение аналогических проблем сделать более эффективным процедуры налогового контроля. Вместе с текущими политическими процессами в стране необходимо обратить внимание вопросам экономического характера и его составляющим. Для страны необходимы экономические взаимоотношения и исправность систем контроля в экономике.

Ключевые слова: Налоговый контроль, процедуры контроля, Контрольная закупка.

Рецензент: Профессор Шота Догондзе, Грузинский технический университет.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

გიორგი სვიანაძე მოსამართლეთა წარმომადგენლობა საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში

დამოუკიდებლობა, როგორც მოსამართლეთა მიუკერძოებლობის პირობა, წარმოადგენს სასამართლოების წინაშე მოქალაქეთა თანახმობის გარანტიას.

სასამართლო რეფორმები საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, რომელიც საბჭოთა ადმინისტრაციული მართვის რეჟიმის სასამართლო ფუნქციიდან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირებას გულისხმობდა. რეფორმა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე 1997-2003 წწ. ჩამოყალიბდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გამკაცრდა მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის პროცესი, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები. მეორე ეტაპზე, 2005-2013წწ. “გადატვირთვის“ რადიკალური მეთოდით განხორციელდა სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია,[4] რომლის მიზანი ფუნქციურად გამართული სისტემის შექმნა და თანმიმდევრული ინსტანციურობის პრინციპის უზრუნველყოფა იყო. მესამე ეტაპი 2013 წლიდან იწყება, რომელიც მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის წესსა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ორგანიზების გარანტიებს შექმნისკენაა მიმართული. თუმცა, სასამართლო რეფორმის მთავარი მიზანი - სასამართლო, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანიზაციული სუბიექტი - ჯერ კიდევ მიღწეული არ არის და ამ მიმართულებით სახელმწიფო კვლავ აგრძელებს მუშაობას.

ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება, ამ ეტაპზე მოითხოვს სასამართლოს დამოუკიდებლობის ორგანიზაციული გარანტიის - მოსამართლეთა კონფერენციის ფუნქციონირების ანალიზსა და განვითარებისათვის წინადადებების შემუშავებას.

საქართველოს საერთო სასამართლოების თვითმართველობის ორგანო - მოსამართლეთა კონფერენცია, სასამართლო სისტემის მასშტაბურ ფორუმს წარმოადგენს, რომელიც საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლეს

აერთიანებს და შედგება უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისგან.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები განისაზღვრება კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით, რომლებსაც ამტკიცებს მოსამართლეთა კონფერენცია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენცია იცავს და განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს სასამართლოებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცებას, მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებას.

კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით, მოსამართლეთა კონფერენციის სისტემაში შექმნილია ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელიც შედგება 9 წევრისგან. ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს შესაბამისი აქტები საერთო სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე, რომელთაც დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომა დიაა. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი.[7]

კონფერენციის მასშტაბებიდან და წარმომადგენლობის ხარისხიდან გამომდინარე, მისი როლი სასამართლო სისტემის შიგნით განსაკუთრებულია. კონფერენციის სტატუსი განაპირობებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის ხარისხსა და გავლენას მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირებაზე. ამის გათვალისწინებით, ნიშანდობლივია მოსამართლეთა კონფერენციის როლი, გავლენა და ექსკლუზიური კომპეტენციები სისტემის მართვის პროცესში.[6]

მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილებანი დეტალურად არის განსაზღვრული „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონში, ამ უფლებამოსილებათა სრულფასოვნად განხორციელება პირდაპირაა დამოკიდებული

მოსამართლეთა წარმომადგენლობის არჩევასა და სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესში მათ მონაწილეობაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენცია სხდომაზე დამსწრეთა 2/3 ის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საბჭოს სხვა წევრებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლოს სისტემის შიგნით არსებული სისტემის ადმინისტრირების უმთავრესი რგოლია. იგი შექმნილია მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, საერთო სასამართლოების საბიუჯეტო, მატერიალურ-ტექნიკური და სასამართლო ადმინისტრირების საკითხთა კოორდინირებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით.[5]

ამ ამოცანების შინაარსი ნათლად მიუთითებს თუ რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სასამართლო სისტემაში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან. საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმართველობის ორგანის მიერ ზემოთ დასახელებული წესით არჩეული 8 წევრი, რომლებიც წარმომადგენენ საერთო სასამართლოებს საბჭოს მიერ განსახორციელებელი ამოცანების განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად ავტომატურად შედის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

არსებული წესით, საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა, ერთი შეხედვით საკმაოდ დაბალანსებულია და მიუთითებს საერთო სასამართლოების, როგორც დამოუკიდებელი სისტემის უპირატესობაზე საბჭოს მიერ სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესში. თუმცა უნდა ითქვას, რომ მოსამართლეთა კონფერენციის საქმიანობის წესის ღრმად გაანალიზების შედეგად იკვეთება ისეთი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა წარმომადგენლობის ხარისხს. კერძოდ, როგორც უკვე აღნიშნეთ მოსამართლეთა

კონფერენცია სხდომაზე დამსწრეთა 2/3 ის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საბჭოს სხვა წევრებს, ხოლო საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მუშაობის წესის შესაბამისად, კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი.

არსებული წესის მოდელირება შემდეგ სურათს იძლევა: მაგალითად თუ საერთო სასამართლოები შედგება 100 მოსამართლისგან და მოსამართლეთა კონფერენციაზე გამოცხადდა ნახევარზე მეტი (50+1) 51 მოსამართლე, კონფერენციის სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ი ანუ, ჩვენს შემთხვევაში 34 მოსამართლე (51 ის 2/3), უფლებამოსილია 100 მოსამართლის სახელით მიიღოს გადაწყვეტილება და აირჩიოს საერთო სასამართლოთა წარმომადგენლობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. გამოდის, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლოს წარმომადგენლობის არჩევა შესაძლოა მოხდეს მოსამართლეთა კორპუსის უმცირესობის ნების გამოვნილის შედეგად. თუმცა წარმომადგენლობითობის შინაარსი გულისხმობს უმრავლესობის პრინციპს, ანუ გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს წევრთა უმრავლესობის მიერ. სწორედ ამგვარი პროცედურა ამართლებს რეფორმის შინაარსს, რომ მოსამართლეთა როლი და ნება მაქსიმალურად იყოს წარმოდგენილი სასამართლოს ადმინისტრირების უმთავრეს ორგანოში.

2007 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენციის საკითხებში - მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დაავალა მოსაზრებების მომზადება მართლმსაჯულების საბჭოს ან სხვა ექვივალენტურ ორგანოს როლისა და სტრუქტურის შესახებ. ამ მოსაზრებების ძირითად მიზანია განისაზღვროს მთავარი ელემენტები მართლმსაჯულების საბჭოს ზოგად მისიასთან, შემადგენლობასთან და ფუნქციასთან მიმართებით დემოკრატიის გაძლიერებისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის დაცვის ხედვით.[2]

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მიერ 2007 წელს მომზადებული დასკვნაში, მოსამართლეთა არჩევის წესთან მიმართებაში აღნიშნულია, რომ მართლმსაჯულების საბჭოში

ან სხვა ექვივალენტური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეები არჩეულ უნდა იქნენ მათი კოლეგების მიერ, ისეთი მეთოდების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისტემის ყველა საფეხურის ყველაზე ფართო წარმომადგენლობას.[3]

მოსამართლეთა ფართო წარმომადგენლობაზე გაკეთებულია ჩანაწერი ასევე ევროპის ქარტიაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსამართლეთა შერჩევას, კანდიდატურების მოძიებას, დანიშვნას, სამსახურებრივ წინსვლას ან სამსახურებრივი ვადის შეწყვეტას, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას, რომლის შემადგენლობის, სულ ცოტა, ნახევარი შედგება მოსამართლეებისაგან, რომლებიც არჩეული არიან კოლეგების მიერვე სასამართლო ხელისუფლების ყველაზე ფართო წარმომადგენლობის უზრუნველმყოფი მეთოდების საფუძველზე.[1]

